

F 412  
1954




ეროვნული  
ბიბლიოთეკა



დროშა  
№ 3 მაისი 1954





რუსთავში ამუშავდა ახალი საგლინავი აგრეგატი „400“.  
ფოტოზე: ახალ აგრეგატზე გაგლინული დიდი დიამეტრის მთლიან-ნაგლინი მილების  
დახარისხება.

ფოტო ვლ. გინზბურგისა

გარეკანის პირველ გვერდზე: ფრაგმენტი  
დ. გაბიტაშვილის სურათიდან „სახლი გორში“.





ი. ბ. სტალინი

უკვდავება

რა მწველი იყო და მიძიმე ჩვენთვის,  
მოულოდნელად ჩვენგან წახველი...  
დამკვიდრდა დიდი ლენინის გვერდით  
მარად უკვდავი შენი სახელიც.

შენ ცოცხალი ხარ, ვერ მიეკარა  
შენს წმინდა სახელს შავი სიკვდილი,  
უფრო მტკიცეა შენი ქვეყანა,  
უფრო მაგარი, როგორც ქვიტიკირი.

შენ ცოცხალი ხარ, დროშად ანთია  
ხალხების გულში შენი სახეა,


სადაც იმარჯვებს ბრძენი პარტია  
იქ შენი საქმეც გაჩირალდნდება.

და მიტომ იყო ასე გვეძნელა  
გამოსალმება და განშორება,  
მარტია. ისევ ჰყვავის ენძელა,  
და ისევ ჰყვავის ჩვენი ცნობრება.

შენ უკვდავების სინათლე გმოსავს  
და უკვდავება არის პარტია,  
თავისუფალი ხალხების დროშა  
ლენინ — სტალინის შუქით ანთია!  
რეჟისორი მარგარიტა







ერთი წლის წინათ, 1953 წლის 5 მარტს, საღამოს ცხრა საათსა და ორ-მოდრად წუთზე შეწყდა გენიალური ლენინის ერთგული მოწაფისა და თანამებრძოლის, მისი უკვდავი საქმის დიდი განმგრძობის, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის ბრძენი ბელადის, — იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის გულისცემა.

ი. ბ. სტალინის უკვდავი სახელი უსაზღვროდ ძვირფასია ჩვენი ქვეყნის ხალხებისათვის, მთელი მსოფლიოს მშრომელებისათვის. მან მთელი თავისი სიცოცხლე მოახმარა ექსპლოატატორთა უფლისაგან მუშათა კლასისა და ყველა მშრომელის განთავისუფლების დიად საქმეს, კომუნისტების გამარჯვებისათვის ბრძოლის საქმეს.

რევოლუციის გენიის — ვ. ი. ლენინის მიერ შექმნილმა და გამოქვეყნებულმა კომუნისტურმა პარტიამ ნახევარი საუკუნის მანძილზე გმირული ბრძოლის, მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებების სახელოვანი გზა გაწვდო. მთელი ამ ისტორიის მანძილზე ი. ბ. სტალინი დაუცხრომლად იბრძოდა ლენინის იდეების განხორციელებისათვის. ხელმძღვანელობდა რა ვ. ი. ლენინის მოძღვრებით, ი. ბ. სტალინი ოპორტუნისტთა ხელყოფისაგან იცავდა პარტიის ლენინურ იდეოლოგიურ, ორგანიზაციულ, ტაქტიკურ და თეორიულ საფუძვლებს, რაზმავდა პარტიულ მასებს ლენინის სხობილო დროში.

კომუნისტურმა პარტიამ კაცობრიობის გენიოსის ვ. ი. ლენინის მეთაურობით განახორციელა ძლიერად სოციალისტური რევოლუცია, დაამყარა პროლეტარიატის დიქტატურა და ჩვენი სამშობლოს ხალხები გამოიყვანა კაცობრიობის ისტორიაში მანამდე ჯერ არნახული სოციალისტური გარდაქმნების ფართო და ნათელ გზაზე. ი. ბ. სტალინი იყო ვ. ი. ლენინის უახლოესი თანაშემწე მსოფლიოში პირველი მუშათა და გლეხთა სოციალისტური სახელმწიფოს მშენებლობისა და განმტკიცებაში. სამოქალაქო ომისა და ინტერვენციის მრისხანე წლებში პარტიის ცენტრალური კომიტეტი, ვ. ი. ლენინი გზავნიდნენ ი. ბ. სტალინს ფრონტის ყველაზე საშიშ უბნებზე. თავისი რკინიგზური ნებისყოფითა და მასების დარაზმვის უნარით, თავისი მხედართმთავრული ოსტატობით ი. ბ. სტალინი თანამიმდევრულად აღწევდა სამოქალაქო ომის ფრონტებზე თეთრგვარდიელთა და ინტერვენტთა განდგურების ლენინური გეგმის განხორციელებას.

ვ. ი. ლენინის გარდაცვალების შემდეგ პარტიისა და ხალხის მტრები — ტროცკისტები, ბუხარინელები, ბურჟუაზიული ნაციონალისტები — ცდილობდნენ პარტია და ქვეყანა გადაეცინათ ლენინური გზიდან და დაეყენებინათ პროლეტარული რევოლუციის მონაპოვართა ლიკვიდაციისა და კაპიტალისტური წყობილების რესტავრაციის გზაზე. კომუნისტურმა პარტიამ, ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით, რომელსაც სათავეში ი. ბ. სტალინი ედგა, განადგურა მოღალატეობით და კაპიტულანტები, დაიცვა ლენინიზმი და აიღო ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენების მტკიცე კურსი.

ოცდაათ წელიწადს ვ. ი. ლენინის გარდაცვალების შემდეგ ი. ბ. სტალინი, რომელმაც ხალხისა და პარტიის საერთო აღიარება და უსაზღვრო ნდობა მოიხვეჭა და რომლის გარშემო ერთსულოვნად იყვნენ დარაზმული მისი ერთგული თანამებრძოლნი, განუხრებლად მიუძღოდა პარტიას და ჩვენს ქვეყანას ლენინის გზით. ამ წლების მანძილზე ჩვენი ქვეყანა ბრძოლებში, სძლევდა რა ისტორიაში უმაგალითო სიმბრუნებს, გაიზარდა მძლავრ სოციალისტურ სახელმწიფოდ.

მთელ თავის მოღვაწეობაში პარტია ხელმძღვანელობს მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის დიადი მოძღვრებით, კომუნისტური პარტიის უკვდავი შემქმნელისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლის ვ. ი. ლენინის ბრძნული ანდერძით. ასრულებდა რა ვ. ი. ლენინის ანდერძს, კომუნისტური პარტია, ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით, ი. ბ. სტალინის მეთაურობით თვლისჩინივით უფროხილდებოდა და განამტკიცებდა პარტიის რიგების ლენინურ ერთიანობას, საბჭოთა სახელმწიფოს, მუშათა და გლეხთა ურღვევ კავშირს, საბჭოთა კავშირის ხალხთა დიად მეგობრობას. კომუნისტური პარტია ყოველთვის უდიდეს ყურადღებას აქცევდა ჩვენი სამშობლოს თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების საქმეს.

შემოქმედებითად განავითარა რა მეცნიერული კომუნისტების თეორია, ვ. ი. ლენინმა შეიმუშავა სსრ კავშირში კომუნისტების აშენების მეცნიერული პროგრამა.

ახორციელებს რა კომუნისტების დიად მშენებლობას, ჩვენი პარტია ხელმძღვანელობს ლენინის ამ პროგრამით, რომელმაც შემდგომი განვითარება ჰპოვა ი. ბ. სტალინის შრომებსა და პარტიის გადაწყვეტილებებში.

უსაზღვროდ დიდი და განუზომელია ი. ბ. სტალინის დეაწლი საბჭოთა ქვეყნის სოციალისტური კულტურის, ლიტერატურისა და ხელოვნების წინაშე. ი. ბ. სტალინიმ წინსვლის ნათელი გზა დაუსახა საბჭოთა ხელოვნებისა და ლიტერატურის მუშაკებს — ადამიანის სულის ინჟინერებს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ძლიერია ხალხთა მასების უსაზღვრო სიყვარულითა და ერთგულებით. თავისი ცენტრალური კომიტეტის მეთაურობით ჩვენი პარტია მტკიცე რწმენით მიუძღვის ჩვენს ქვეყანას ახალი გამარჯვებისაკენ კომუნისტებისათვის ბრძოლაში. კომუნისტური პარტიის, საბჭოთა მთავრობისა და ჩვენი ხალხის დიადი ერთიანობა — აი ყველა ჩვენი გამარჯვების ცხოველყოფელი წყარო, კომუნისტების გზით ჩვენი მტკიცე, წინსვლის საფუძველი.

ლენინ-სტალინის დროში, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, წინ, კომუნისტების სრული გამარჯვებისაკენ!

ცაზე ციმციმებს ცისკრის ვარსკვლავი გრიანებს ქარი ბრანზმორეული. კრემლის კარებთან ტრიბუნასავით დგას შუქნათელი მავზოლეუმი.

თოვს, ზამთარია და თავაშეებით ქარი მიარღვევს ღრუბლებს ელვიანს, მავზოლეუმთან დგანან ბავშვები და მზეკაცების ნახვას ელიან.

ლენინ!  
ჩურჩულებს მათი ბავენი, თუ ბუღბუღების ისმის გალობა! შენი დიადი სიბრძნის ერთგული — შენს წინ თავს იხრის ჩვენი თაობა.

სტალინი!  
ჩურჩულებს მათი ბავენი, თუ შრიანებენ ქარში დროშები!... და ბრწყინდებიან ცამდე ნაგები რიკრაჟისფერი კრემლის კოშკები.

კალე ბოშოსიძე

## სვლინგაილიან მოსკოვადე

ვტოვებთ სტალინგრადს, მიგვაქროლებს თეთრი ფრინველი, სილაყვარდისკენ მისწრაფის მარდი, ფრთამალი; თეთრ ზოლად მოჩანს ვოლგა-დონი გასაკვირველი და ტალღებივით აქოჩრილი ლურჯი ტრამალი.

მივქრით, წინ სივრცე გადაშლილა დაუსაბამო, ქვევით ხეგია დახატული ფერად ნოხებად; დგება დაისი, ეუფლება მიწას საღამო და ღამის ბინდებს დედამიწის შუქი მოჰყვება.

მივქრით პირდაპირ, გაბედულად, გზა არ გვეშლება; ვხედავთ — ვცვილებით ზეცას ნისლის ბადით მოქსოვილს; რკინის ფრინველი ვგრძნობთ, თანდათან დაბლა ეშვება, გვიახლოვდება საყვარელი ჩვენი მოსკოვი!

ჰა, თვითმფრინვამა შეანელა ფრთათა გუგუნე, ნისლში გამოჩნდა ელვარება კრემლის თაღების; გამოჩნდა გული ცვიცლოვანი ამ საუკუნის — დიდი ნათელი მშობლიური ბაირაღების...

არჩილ გურჯაძე

## აქიგაჟორი

თეთრონი ამოაგელვა, ქარში დაღალი გაშლოდა, თვალები გადმოგვანათა, უკუნეთს ამოაშრობდა. დაიქვეითა, საღამოც ვერ მოვასწართ ნაზდად, — წიდან ქარიშხალს მოგვდა, ახლა ვარდივით განაზდა. გვკითხა — როგორ ხართ, მწყემსებო, ჯოგმა რამდენი იმატა?.. მერე ფეხმტკიცვან ბოჩოლას თვალთ შეასწრო კვიმატად. — რა მოსვლიაო, შეწუხდა, (შეწითლდა მწყემსი ქოჩორა), — და სათნო ქალმა აღერსით წყლული შეუქრა ბოჩოლას. ახლა გაზეთი გაშალა, გაშალა, განა უყურებს? ისე, მტრედივით ღულუნებს, გულშიჩამწვდომად ღულუნებს.

გვითხრა, — დიადი ყრილობა ახალ გმირობას გვავალებს, რაც უფრო მტკიცედ ვიქნებით უფრო ავლაგვავთ მტარვალებს. რომ ახალ ხუთწლედს ახალი შრომა და გარჯა ჭირდება, რომ კომუნისტების მწვერვალი უფრო და უფრო ბრწყინდება. გვითხრა და, სულმა მწყურვალემ ნათელი ხარბად დალია, აციტატორი კი არა სიცოცხლის ნაღვერდალია. ადგა წიგნები გვაჩუქა და გაზეთები ახლები, მერე თეთრონით გაფრინდა გრილი ნიავის თანხლებით. მწყემსს გულში წიგნი ჩაეკრა, მხრებით ბერმუხას მიკვროდა და გასცქეროდა, საითაც მისი ოცნება მიქროდა...



# ის, პინს ხალხის სიყვარულს ქსოვდა

ფოტო ოტ. თურქინაძე  
გენ. ლიონიძე

ეს იყო 80 იანვრის საღამოს, სამუშაო დღის დამთავრების შემდეგ თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურებმა თავი მოიყარეს წინასაარჩევნო კრებაზე. ერთმანეთს ცვლიან ორატორები. ისინი ლაპარაკობენ იმ შრომითი ენთუზიაზმზე, რომლითაც ფაბრიკის კოლექტივი ხვდება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებს. საქსოვი საამქროს წუნმდებელი მ. ჩიტბე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ასახელებს ამხანაგ კლიმენტ ეფრემის-ძე ვოროშილოვს. შემდეგ გამოსული ორატორები მხარს უჭერენ ამ წინადადებას და ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად ასახელებენ აგრეთვე ანასტას ივანეს-ძე მიქოიანს, პეტრე ნიკოლოზის-ძე პოსპელოვს.

სიტყვას იღებს საქსოვი საამქროს ოსტატი დავით გრიგორიანი.

ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეები, მქსოველი ქალები გულმსურით უსმენენ ძველი ოსტატის სიტყვას. აი, ელენე მიშელაშვილი, იგი დღეობდა და ჩამოვიდა, ოთხი თვეა, რაც დამთავრა თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკისთან არსებული საქარხნო-საფაბრიკო სკოლა, იქვე სხედან ქეთევან ჭუმბურიძე და მარიამ ლორთქიფანიძე, ისინი 25 წელია, რაც ამ ფაბრიკაში მუშაობენ. თვითელმა მათგანმა საინტერესო და თავისებური გზა განვლო. სანამ აბრეშუმის ქსოვის ოსტატი გახდებოდა, თვითელს თავისებური „საწარმო“ ბიოგრაფია აქვს. ისინი იზრდებოდნენ საბჭოთა ოჯახში, მათ საბჭოთა სახელმწიფო ზრდიდა. სულ სხვაგვარად დაიწყო მრავალდაზოგოსანი სტახანოველი მქსოველის — მაგდანა ბურჯანაძის ცხოვრება. იგი ბავშვობაშივე დაობდა. მის აღზრდაში მშობლის ხელი არ ჩარეულა. ორი წლის იყო მაგდანა, როდესაც შორეულმა ნათესავებმა თბილისში ჩამოიყვანეს და საბავშვო ბავშვი მიიბარეს. 4-დან 11 წლამდე დღეობდა უპატრონოთა საბავშვო სახლში იზრდებოდა. მერე მახინჯაურში გადაიყვანეს. ბოლოს კი — ქალაქ მახარაძეში. აქ 15 წლის გოგონამ მუშაობა დაიწყო ძაფსაღებ ფაბრიკაში. იგი პარკის მხარშველის სპეციალობას დაეუფლა. ცოტა ხნის შემდეგ ფაბრი-

კის დირექციამ მაგდანა თბილისში გამოგზავნა აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის საქარხნო-საფაბრიკო სკოლაში. მაგდანამ წარმატებით დამთავრა სკოლა და მქსოველად დაიწყო მუშაობა. მაგდანა ადვილად ეუფლებოდა ახალ და რთულ დაზგებს, თანდათან ამცირებდა დაზგის გაცდენის წუთებს, თანდათან აუმაღლებებდა ქსოვილის ხარისხს. უკვე თვითონ ასწავლიდა სხვებს.

ახლა მაგდანა ფაბრიკისთან არსებული მუშა-ახალგაზრდობის საღამოს სკოლაშიც სწავლობს. სკოლის დამთავრების შემდეგ პოლიტექნიკური ინსტიტუტის საფეიქრო ფაკულტეტზე აპირებს სწავლის გაგრძელებას.

— როგორია მაგდანა ბურჯანაძის საწარმოო მაჩვენებლები?

— წლიურ გეგმას საშუალოდ 130 პროცენტით ასრულებს — გვითხრეს საამქროში.

— რა საზოგადოებრივი სამუშაო აქვს დაკისრებული?

— მაგდანა თავისი ბრიგადის უცვლელი აგიტატორია — გვიპასუხა ფაბრიკის კომკავშირის კომიტეტის მდივანმა თ. ჯაბუამ.

— როგორი ხარისხისაა მისი დამზადებული ქსოვილი?


— მაგდანა არასოდეს არ გამოგვიძახია ჩვენ საამქროში — გვიპასუხა წუნმდებელმა ქეთევან ჭუმბურიძემ.

...საქსოვი საამქროს ოსტატი დავით გრიგორიანი ამთავრებს თავის სიტყვას. იგი წინადადებას იძლევა, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წარდგენილი იქნას მოწინავე მრავალდაზოგოსანი მქსოველი მაგდანა დავითის-ასული ბურჯანაძე. დარბაზი ტაშისცემით ხვდება ამ წინადადებას. მაგდანას სიხარულისგან თვალები უბრწყინავს.

\* \* \*

ორჯონიკიძის რაიონის მშრომელთა წარმომადგენლების წინასაარჩევნო თათბირმა ერთსულგვანად დაუჭირა მხარი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მრავალდაზოგოსანი მქსოველის მაგდანა ბურჯანაძის დასახელებას.

14 მარტს კი თბილისის მშრომელთა ბმა მისცეს თავიანთ ღირსეულ კანდიდატს.



მ. ბურჯანაძე მუშა-ახალგაზრდობის საღამოს სკოლაშიც სწავლობს. აი, იგი დაფასთან გამოიძახა რუსული ენის მასწავლებელმა.



ქარხნის წუნმდებელი ქ. ჭუმბურიძე ამოწმებს მ. ბურჯანაძის მიერ დამზადებულ ქსოვილს.

კვირა დღეს მ. ბურჯანაძემ წერილი მიიღო სოფელ ხაშმიდან — მას დეპუტატობას ულოცავენ თანასოფლელები.




ცვლა დაიწყო. მ. ბურჯანაძე ერთდროულად მუშაობს VKP — 49 სისტემის ორ დაზგაზე





# კარტოფლის ცხვი



## მოსავლისათვის

ღრმა, კლდოვან ხევში მიიკვლევს გზას მდინარე მარაგორა. მისი ჩრდილო ფინა-ზაურის ტყის კალთებამდე აღწევს. მშობ-ლიური მდინარის ონავარი ხმაური ბედ-ნიერების სიმფონიად იფინება დმანისის რაიონის სოფელ ჯავახის მე-17 პარტ-ყრილობის სახელობის კოლმეურნეობის ველ-მინდვრებზე მომუშავე მეკარტოფი-ლე ქალიშვილებს. კულტურის ურხევთ ქარი ხელმარჯვე შრომაში ჩაბმულ გოგონებს. ძვე იცინის მათ სახეებზე...

ამ ლამაზ სოფელში სოფლის მეურნეობის მრავალი დარგია განვითარებული. მოჰყავთ: პური, სიმინდი, კომბოსტო, პამიდორი. აქაური ვაშლი, მსხალი, ალუბალი და ქლიავი ისევე გემრიელია, როგორც გორული და მესხური ხილი. მაგრამ სოფელი ჯავახი განსაკუთრებით განთქმულია კარტოფლის უხვი მოსავლით, აქაური კოლმეურნეები კარგად არიან დაუფლებულნი ამ კულტურის მოვლა-პატრონობის მაღალ ოსტატობას. მეგობრულ შეჯიბრებაში ჩაბმული ქაბუკები და ქალიშვილები პირველობას არავის უთმობენ. ეს ბუნებრივად არის: დაუძლეველი ძალა და ენერჯია ჩქვეს ახალგაზრდობაში.

დმანისის რაიონის თითქმის ყველა სოფელში მისდევენ მეკარტოფეობას. გასულ წელს 1.700 ჰექტარი ფართობი ეკავა ამ კულტურას. წელს ეს ციფრი 2.500-მდე გაიზარდა.

კარტოფლის საკრებლები ისევე კარგად უფლიან, როგორც გომარელები. განთიადლები, კიხილ-კიხისელები და სხვა სოფლის კოლმეურნეები, მაგრამ გასულ წელს მოსავლიანობის გეგმის შესრულებაში ყველას გაუსწრეს სოფელ ჯავახის კოლმეურნეობის მშრომლებმა. მათ ჰექტარზე საშუალოდ 130-ის ნაცვლად მოიყვანეს 134,6 ცენტნერი კარტოფილი. ეს კოლმეურნეობა იმითაც არის შესანიშნავი, რომ იგი კარტოფლის დარგში მეთესლეობის კოლმეურნეობად ითვლება. ამ საამაო გამარჯვებაში გადაწყვეტი როლი ქალიშვილებმა შეასრულეს. შემთხვევითი როდია, რომ ამ კოლმეურნეობის ყველა რგოლს ქალი ხელმძღვანელობს.



სოფ. ჯავახის XVII პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე შოთა ოქრიაშვილი ესაუბრება ბრიგადირებსა და მერგოლურებს კარტოფლის კვადრატულ-ბუღობრივ რგვაზე.

ეს იყო 1953 წლის ხექტემბრის დიღას...

ქუფრებისა და ლუფუმის მთების კალთებს ყომრალი ნისლი შემოხვეოდა. წვიმის შემდეგ მზემ გამოანათა.

ქუფრების კალთებზე კოლმეურნე ვაჟებისა და ქალიშვილების ომბიანა ყოინა გაისმა. ახალგაზრდებმა განაახლეს კარტოფლის ამოღება წვიმების შემდეგ. ტყისპირა ნაკვეთებზე კარტოფლის „ბორცვები“ გაჩნდა. მთელი დღე ავტომანქანების დატვირთული კოლონა მიემართებოდა „ქუფრებთან“ სოფლისაკენ. საწყობები ააგეს „მაუესტიკის“ ჯიშის, ჯანსაღი კარტოფილით.

უღანაკარგოდ აიღეს მოსავალი ჯავახის კოლმეურნეობის მშრომლებმა. დასრულდა სამეურნეო წელი.

შეაჯამეს მთელი წლის მუშაობის შედეგები. სოციალისტურ შეჯიბრებაში პირველ ადგილზე გამოვიდა ის რგოლი, რომელსაც აღექსანდრა ხუციშვალი ხელმძღვანელობს. ამ რგოლის სახელოვანმა კოლმეურნეებმა ჰექტარზე საშუალოდ 158,3 ცენტნერი კარტოფილი მიიღეს. დამსახურებული გამარჯვებით გამოწვეულ სიხარულს ერთმეორეს უზიარებდნენ: ანა და ვარა ოქრიაშვილები, ვარა ანდიაშვილი, აღექსანდრა ხუციშვალი და სხვები.

მაგრამ მათ სიხარულში სრულებითაც არ ჩანდა თვითკმაყოფილება და კოყონი ქედმაღლობა. ეს საბჭოთა ადამიანებისათვის დამახასიათებელი როდია.

ჩვენ ამით არ დავკმაყოფილებით. უფრო მეტად გავზრდით საწარმოო მიღწევებს. გარდამავალ დროშას არავის დაუთმობთ. — ამბობდნენ ისინი.

საამაო წარმატებები მოიპოვეს აგრეთვე ოღლა და ლიზა ოქრიაშვილების,

კოლმეურნეობის წევრებს ნაკელი გააქეთ მინდვრად.



ლუბა ადუაშვილისა და თამარ ჯავახი-შვილის რგოლების კოლმეურნეებმა, რომლებიც თვითიულ ჰექტარზე საშუალოდ 144 — 155 ცენტნერი კარტოფილი მოიყვანეს.

\*\*\*

ზამთრის საღამოებს უბრალოდ როდი ატარებდნენ სოფელ ჯავახის კოლმეურნეობის მშრომლები. საგურამოს ორწლიანი სასოფლო-სამეურნეო სკოლის კურსდამთავრებული ახალგაზრდა შოთა ოქრიაშვილი, რომელიც კოლმეურნეობის თავმჯდომარედ მუშაობს, — ხშირად ატარებდა კოლმეურნეობას საუბრებს — საინტერესო და აქტუალურ თემებზე.

ჩვენ, ერთ-ერთი ასეთი საუბრის მოსმენის საშუალება გვქონდა.

თავმჯდომარის კაბინეტში შეკრებილ მერგოლურებთან შოთა ოქრიაშვილი ლაპარაკობდა კარტოფლის კვადრატულ-ბუღობრივ დარგვის წესზე. კოლმეურნე ქალიშვილები და ქაბუკები გულდასმით უსმენდნენ.

— ეს მეთოდი, — უხსნიდა მათ შოთა ოქრიაშვილი, — უფრო მეტ შესაძლებლობას იძლევა ნათესობის მექანიზაციით დამუშავებისათვის, რადგან ამ შემთხვევაში მოსახერხებელია ნათესის დამუშავების ორმოების მექანიზაცია მწყობრების გასწვრივ და გარდგარდმო. ამ მეთოდით მუშაობა თითქმის მთლიანად გამოირიცხავს ხელით თონასა და მიწის შემოყრას.

\*\*\*

8,5 კილოგრამი მარცვლეული და კარტოფილი ხვდით თვითიულ შრომა-დღეზე ჯავახის კოლმეურნეობის კოლმეურნეებს. გარდა ამისა მათ გაინაწილეს ფულიც.

მიხეილ ოქრიაშვილის ოჯახმა 11.374 კილოგრამი მარცვლეული და კარტოფილი მიიღო გამომუშავებულ შრომდღეებზე. ასეთივე დოვლაით ააგხეს ოჯახი კოლმეურნე მიხეილ ადუაშვილმა, აღექსანდრა ხუციშვილმა, თამარ ჯავახიშვილმა, ია ადუაშვილმა და სხვებმა. ელექტროფიცირებულ და რადიოფიცირებულ სოფელს მარტო გასულ წელს მ-ზე მეტი ახალი ორსართულიანი სახლი შეემატა. კოლმეურნეები კეთილმოწყობილ ბინებში ცხოვრობენ.

გაზაფხულდა...

თბილ ქვეყნებიდან მოფრენილმა მერცხლებმა კიკიკით ამცნეს ჯავახის მკვიდრთ გაზაფხულის დადგომა. ბუნებში იამ ამოანათა. მწვანე ფერი ემატება მთის კალთებს. გეგლები საამურად ხასხასებენ მზის ნაწნავებზე. დეღებში ნიაღვრების ჩხრიალმა იმატა. მამავერა ადიდა და კლდეებს შორის ბობოქარი ღრიალით მიავლორებს უზარმაზარ ლოდებს.

კოლმეურნეები მომუშალებელი როდი შეხვდნენ გაზაფხულს. მზრალად ნახნავ ფართობებზე კარტოფლის დარგვა გააჩაღეს. მათ, სწორედ ამისათვის ჰქონდათ შენახული „მაუესტიკის“ ჯიშის 1.900 ცენტნერი კარტოფილი.

მიწის ნაბირებზე, ხნულების ახლო ადგილობრივი ნაკელის გროვები მოჩანს. მათ წინასწარ მიზიდეს, როგორც მცენარისათვის დამატებითი საკვები.

— მინერალური სასუქები, — ამბობს ლუბა ადუაშვილი — მზრალ საწყობებში გვაქვს შენახული. მეორე და მესამე თონის დროს მივცემთ მცენარებს.

— ჯერ კიდევ გასული წლის შემოდგომაზე, — განაგრძობს ლუბა და თან თავის მშვენიერ თვალებს მორცხვად აფასებებს, — საკარტოფილე ნაკვეთის ზენის წინ თვითიულ ჰექტარზე 50 ტონა გადაწყვარი ნაკელი მოვანბნეთ და ჩავხანით. კარტოფილს ნოყიერი და ფხვიერი ნიადაგი უყვარს, ამიტომ პლანტაციას თონას არ ვაკლებთ.

მეკარტოფილე ქალიშვილებთან საუბარში გამოირკვა, რომ „მაუესტიკის“ ჯიშის კარტოფილი გვაღვის ამტანია. ამავე დროს ყოველგვარ ავადმყოფობას უძლებს, მათ შორის „ფიტოტორას“. ეს ავადმყოფობა მცენარეს კოკრობის პერიოდში უჩნდება. ტუბერში და შემდეგ მცენარის ღეროში ჩნდება უანგის-ბური სიღამბლე. სწორედ ამას ეწოდება „ფიტოტორა“. საგულისხმო ის არის, რომ სოფელ ჯავახის ნაკვეთებზე კარტოფილი ასეთ ავადმყოფობას ახლო არ იკარებს. ეს იმიტომ, რომ ისინი უმაღლესი ხარისხის თესლს რგავენ. ამავე დროს მზრალად მოხნულ ნიადაგს სანიმუშოდ ამუშავებენ. მინდვრად ფართოდ იყენებენ მექანიზაციას. კარტოფილს მანქანებით რგავენ, რაც დიდად უადვილებთ შრომას.

სსრ კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილებების საფუძველზე წელს ჯავახის კოლმეურნეობამ 13 ჰექტარით გააიდა კარტოფილის სათესი ფართობი.

— ჰექტარზე საშუალოდ მოიყვანათ 200 ცენტნერი კარტოფილი — აირისთვის ვიბრძვით ამჟამად, — ამბობს გამარჯვებული მერგოლური აღექსანდრა ხუციშვილი. მის ხმაში პირობის შესრულების ძალა შევიცანი. ყველა მეკარტოფილე კოლმეურნე ასეთი რწმენით შეუდგა მუშაობას.

ქუფრების მთის კალთებზე სასიხარულო შრომის ტკბილი სიმღერები გუგუნებს. ეს ჯავახის კოლმეურნეთა შრომის ჰანგებია. ცის ეთერში კულმარატელა მერცხლები დასრიალებენ. ნიადაგში კი ახლად დარგული კარტოფილი იღვამს ფესვს...

შალვა შაველაშვილი



# მექანოგაგორები



აკრილ კოქილაპილი

ფოტო ვლ. გინზბურგისა

ორთქლმავალმა უკანასკნელად მიაკივლა. მატარებელი ქშენით შეიჭრა წინორის სადგურში და გაჩერდა.

მგზავრები გადმოიშალნენ ვაგონებიდან. ზოგმა ავტოსადგურს მიაშურა, ზოგმა კი სადგურის მოსაცდელი დარბაზისაკენ გასწია.

„პლაკარტის“ ვაგონიდან ყველაზე ბოლოს ორი ახალგაზრდა გადმოვიდა. მათ ხელში ჩემოდნები ეჭირათ. ხელბარგი იქვე ბაქანზე მილაგეს და გაჩერდნენ.

ოქტომბრის თბილი დილა თენდებოდა. პორიზონტი იშორებდა მუქ საბურავს და ალაზნის ველს ეღვარება თანდათანობით ეღებოდა.

— რა ლამაზია!.. — უნებლიედ წამოიძახა ბუნების სანახაობით მოხიბლულმა ახალგაზრდა ქალმა, რომელიც მკლავში ხელგაყრილი დაყრდნობდა თავის თანამგზავრს.

ის იყო, ვაჟმა ლავოდებისკენ მიმავალი ტრანსპორტის საშოვნელად დააპირა წასვლა, რომ მათთან უცნობი ახალგაზრდა მივიდა. უცნობი ლავოდების მტს-ის შოფერი იყო. ღირეკციას იგი ლავოდების მტს-ში სამუშაოდ თავიანთი სურვილით ჩამოსულ ახალგაზრდა ინჟინრების—ვენერა სტურუასა და გივი კაკალაშვილის დასახვედრად გამოეგზავნათ და თან სატვირთო მანქანაც გამოეყოლებინათ მათი ბარგის წასადებად.

\* \* \*

მანქანა საათში სამოცი კილომეტრის სისწრაფით მიჰქროდა.

— სულ რამდენიმე წუთიც და, მტს-ში ვიქნებით. — თავისთვის ჩაილაპარაკა შოფერმა.

— დიდა თქვენი მტს-ი? — ცნობისმოყვარეობით, იკითხა ვენერამ.

შოფერმა ენა ამოიღვა:


— დიდი რომელია. როგორც მე ვიცი, საქართველოში ასეთი მეორე არ არის. ჩვენს მტს-ს საყრდენ-საჩვენებელი ჰქვია...

— ბევრი გაქვთ ტრაქტორები?

— ტრაქტორებიც ბევრი გვაქვს და კომბაინებიც. გუშინვე კრებაზე ღირეკციამმა თქვა, ახლო მომავალში ისეთ ახალ მანქანებს მივიღებთ, რომ ჩვენს კოლმეურნეებს ხელით შრომა აღარ დასჭირდებათ და თონი და ღარიღა გუთანი მუხუშში ნისატანი გაუხდებათ.

ახალგაზრდა ცოლ-ქმარმა—ინჟინრებმა ნათლად წარმოიდგინეს პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილების მთელი მნიშვნელობა სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების მკვეთრი აღმავლობისათვის. მაშასადამე, ფიქრობდნენ ისინი, ამ ისტორიულ დადგენილებას უკვე კარგად იცნობენ სოფელში. უბრალო, რიგითი ადამიანები იმედით შესცქერიან მომავალს, სწამთ, რომ, რაკი პარტიამ სთქვა, იგი უსათუოდ შეასრულდება კიდეც. გივი და ვენერა მართონ როდი იყვნენ, რომ მთელს პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილება საბოლოო პროგრამად მიიღეს. მათებრ სამშობლოს მგზნებარე ათიასობით პატრიოტი ახალგაზრდა გამოეხმარა პარტიის მოწოდებას და გადაწყვიტა სოფლად მუდმივ სამუშაოზე წასვლა, მტს-ების ინჟინერ-მექანიკატორთა რიგებში ჩადგომა.

მათ გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა მანქანიდან გადმოსულთ მტს-ის ღირეკტორი პართენ ქემოკლი-



ლავოდების მტს-ი. ცოლ-ქმარი ვენერა და გივი კაკალაშვილები აწარმოებენ მტს-ის ტრანსპორტის აღრიცხვას.

ძე, უფროსი აგრონომი ალექსანდრე შველაყაძე, უფროსი მექანიკოსი ჭიჭიკო ლლონტი, პარტიურის მდივანი ზაქრო კეველიშვილი და მტს-ის სხვა მუშა-მოსამსახურენი შეხვედნენ. ასეთ შეხვედრას ისინი სრულებით არ მოელოდნენ.

— ცოტა შეგაგვიანდათ. — გულთბილად უთხრა ამს. პართენმა. — შეუწუხდით, ვაითუ შოფერმა ვერ ნახა და ხელცარიელი დაბრუნდა უკანო.

— ასეთი შეხვედრა ჯერ არ დავიშასხურებია. ამხანაგებო, — მორცხვად წარმოთქვა გივიმ, — დიდ მალე მოვასხსივებთ. დაე, გავგემართლებინოს თქვენი იმედი...

მტს-ისადმი იმავე დღეს დაწერილი ბრძანებით ინჟინერი გივი კაკალაშვილი დაინიშნა ავტო-მექანიკოსად, ხოლო მისი მიოღვე ვენერა სტურუა ინჟინერ-კონტროლიორად. ახალგაზრდა სპეციალისტებს მტს-ის ტერიტორიაზე გამზადებული დახვედათ კეთილმოწყობილი ბინა საჭირო ინვენტარით.

— ახლა შეგიძლიათ დაბინავდეთ, მოისვენეთ, ხოლო დანარჩენზე ხვალ მოვილაპარაკებთ. — ამ სიტყვებით გაემოქმედებოდა მათ მტს-ის ღირეკტორი.

\* \* \*

გულთბილი შეხვედრით მოხიბლული ახალგაზრდა სპეციალისტები მეორე დღეს დილაადრიან ადგნენ. უფროსმა მექანიკოსმა მათ პირველად მტს-ის მეურნეობა გააცნო, სამუშაო უბანი ჩააბარა თვითუფს და შემდეგ ორივენი ღირეკტორთან სასაუბროდ მიიწვია. მალე მათთვის ცნობილი გახდა საკოლმეურნეო წარმოების განვითარების გამამწყვეტი ძალის — ამ მანქანატრატორთა სადგურის მთელი სიდიადე.

ლავოდების საყრდენ-საჩვენებელი

მტს-ი უზრუნველყოფილია ტრაქტორებისა და მანქანების ორცვლიანი მუშაობისათვის გამოცდილ მექანიკატორთა მუდმივი კადრებით. მათი უმრავლესობა სრულყოფილად არის დაუფლებული სოფლის მეურნეობის რთულ მანქანა-იარაღებს, რომლებითაც ისინი მშობლიურმა კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ აღჭურვა. ამ მტს-ის მუშაობაში ფართოდ არის დანერგილი ტრაქტორებისა და კომბაინების შეკეთების კვანძური მეთოდი, ხოლო მოსავლის აღების ცხარე დღეებში — საათობრივი გრაფიკით მუშაობის ნაკადი მეთოდი. სწორედ ამის შედეგად მტს-ის კოლექტივი ყოველწლიურად გადაჭარბებით ასრულებს საწარმოო დავალებას, დიდი რაოდენობით ზოგავს საწვავ-საცხებ მასალას, აიაფებს ჰექტარი მიწის ფართობის დამუშავების ღირებულებას. ამაღლებს მიწათმოქმედების კულტურას, ზრდის სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობას.

რა კულტურები გინდა, რომ არ მოჰყავდეთ ლავოდების მანქანატრატორთა სადგურის მომსახურების კოლმეურნეობებს! ხორბალი და თამბაქო, მზესუმზირა და სიმინდი, ეთერზეთიანი კულტურებიდან — ყაზანლოყის ვარდი, გერანი, ბაზილიკი, სხვა ტექნიკური კულტურებიდან კარგი მოსავლიანა ვენახი. შარშან ხორბლის მოსავალმა თვითუფლ ჰექტარზე საშუალოდ 17,5 ცენტნერი შეადგინა, ხოლო თამბაქოს მოსავალმა 21 ცენტნერს გადააჭარბა.

სექტემბრის პლენუმის დადგენილების შემდეგ ერთიორად გაიზარდა მტს-ის როლი და პასუხისმგებლობა თვითული კოლმეურნეობის მდგომარეობისათვის, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის მკვეთრი გადღებისათვის. ლავოდებელმა მექანიკატორებმა კარგად იცნა ეს და ძალღონის დაუზოგავად იბრძვიან პარტიისა და მთავრობის დავალების წარმატებით განხორციელებისათვის.

დიდი და კიდევ უფრო სერიოზული მუშაობა მოვლით ლავოდებელ მექანიკატორებს მიმდინარე წლიდან. პარტიისა და მთავრობის მიერ მათს წინაშე დაყენებულია, როგორც გადაუდებელი ამოცანა, დაამთავრონ მარცვლული და ტექნიკური კულტურების მო-

ლავოდების მტს-ის ძრავების შემკეთებელი კვანძი. კვანძის ხელმძღვანელი ვლადიმერ მანაგაძე ძრავის გამოცდის დროს.







ლაგოდების მტს-ის კლუბის შენობა.

დღე, ისინი ქართულ მეგობრებთან ხელ-გადახვეული მიდიან მტს-ის ახლად-აგებულ კლუბში, რათა თავისუფალი დრო გონივრულად გამოიყენონ, გაერთონ, დაისვენონ. საღამოს, ელექტრონის შუქით გაჩრდილებული კლუბის დარბაზში სასიამოვნოდ ჟღერს რუსული, უკრაინული, ქართული ხალხური სიმღერები, რომლებიც ხშირად ცეკვა-თამაშით გვირგვინდება.

მტს-ის მექანიზატორთა ამ დიდ ოჯახში წარჩინებულ ტრაქტორისტთა სახელი დაუმკვიდრებია კომუნისტ ნიკოლოზ ენუქიძეს თავის შვილებით როსტომით და სერგოთი. მათს შრომის წარმატებებზე ბევრს ლაპარაკობენ არა მარტო მტს-ში, არამედ საკოლმეურნეო ბრიგადებსა და ოჯახებშიც. ნიკოლოზ ენუქიძე, როგორც აქ ამბობენ, ამ მტს-ში „მოსუცებულა“. იგი ამჟამად მეჩვიდმეტე ტრაქტორისტს უზრდის კოლექტივს.

მექანიზატორთა ოჯახს ამჟამინდელ მძებნი კევილიშვილები, ნატროშვილები და ბატიაშვილები. ამ ახალ ადამიანებს ახალი მიმდევრებიც ბევრი ჰყავთ სოფელ შრომასა და ბუდიონოვკაში, ცოდნისკარსა და გურგენიანში, ერეთისკარსა და ჩადუნიაში. ცოტა როდია ისეთი მაგალითი, როცა მშობლები შუამდგომლობენ მტს-ის დირექციის წინაშე: ბიჭები გადაკვერია, თქვენკენ მოიწვიენ და გთხოვთ მოაწყეთ რაიმე სამუშაოზე, ტრაქტორისტობა სწყურიათ.

— მაღლიანი ხელობა აქვთ ამ დლოცვილებს, — კმაყოფილებით შენიშნავს ოთხმოცდათექვსმეტი წლის კოლმეურნე სამსონ კობახიძე. — მეც რომ ახალგაზრდა ვიყო, ტრაქტორსა და კომბაინზე დიდი ხალისით დაეჯდებოდი. ეს არის ხალხის სიყვარული თავი-

სი ბედნიერი ცხოვრების გამოკმედი ადამიანებისადმი — მექანიზატორებსა და მათ კეთილშობილური ბროფესიისადმი.

**\* \* \* \* \***

ჩვენ შეგვხვდით ვენერა და ვენე კაკალაშვილებს, ახლადგზორდა სპეციალისტებს, რომლებიც თავიანთი სურვილით ჩამოვიდნენ მტს-ში მუდმივ სამუშაოზე, ვავსაუბრეთ. ოდნავ პორცხვობით ვენერამ გვითხრა.

— ასეთი წარმოდგენა არ მქონდა მტს-ზე, პირველად რომ მოვდიოდი. ახლა კი რა შეიძლება ითქვას? არ ვიცი ვის როგორ, მე კი მტს-ში მუშაობა ყველაზე საამაყო საქმედ მიმაჩნია. თუ ჩვენი მუშაობით კმაყოფილი არიან ჩვენი ხელმძღვანელები, ჩვენთვის ამაზედ მეტი ბედნიერება არაფერი იქნება.

მტს-ის დირექციამ გადმოგვცეს: — მათი ინიციატივა, შრომანი თავდადება და დაკისრებული საქმისათვის პასუხისმგებლობა მაგალითია ყველასათვის.

**\* \* \***

ლაგოდებელი მექანიზატორები უდიდესმა შრომითმა აღმავლობამ მოიცვა, როდესაც მათ შეიტყვეს, რომ მოსკოვში, კრემლში პარტიისა და მთავრობის მიერ მოწვეული მტს-ების მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირის ტრიბუნლიდან ამ თათბირზე მათმა წარგზავნილმა, მტს-ის უფროსმა აგრონომმა ალექსანდრე შვალაძემ კოლექტივის სახელით ახალი გათვლებული ვალდებულებანი აიღო. მათ თათბირის მონაწილეთა მიმართვა მიიღეს, როგორც სამშობლოს მორწმუნე და სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობისათვის გაწეული სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაებნენ. მათი ვალდებულებებია — ჰექტარზე საშუალოდ მიიღონ: ხორბალი 22 ცენტნერი, თამბაქო — 20, სიმინდი — 40, მწესუმწირა — 18, კარტოფილი — 180, ბაღა-ბოსტნეული 170 ცენტნერი. ამ მიზნით მთლიანად მოაწყონ შრომატევად სამუშაოთა მექანიზაცია, განახორციელონ აგროტექნიკურ ღონისძიებათა მთელი კომპლექსი, ფართოდ გამოიყენონ კვადრატულ-ბუდობრივი თესვის ხერხები, უზრუნველყონ მეცხოველეობის განვითარებისა და მისი პროდუქტიულობის სახელმწიფო დეველუბათა გადაჭარბებით შესრულება.

მიმდინარე წელი მტს-ის მუშაკთა ცხოვრებაში იქნება დიად მშენებლობათა წელი. პერსპექტიული გეგმით ნავარაუდევია დაიწყონ სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების შესანახი ორი დიდი ფარდული, 5 საცხოვრებელი სახლის, საბავშვო ბაღისა და ბაგის და საპორტული მოედნის მშენებლობა. ამ ღონისძიებათა განხორციელების შემდეგ მტს-ის კარ-მიღამოს შეემატება ახალი სერიოზული ნაგებობანი, იგი გადაიქცევა მექანიზატორთა კეთილმოწყობილ დაბად, რითაც, უნდა ვიფიქროთ, არაფრით ჩამოუვარდება ბევრ რაიონულ ცენტრს.

**\* \* \***

მტს-ის სახელისონდან ყოველდღიურად გამოდიან და მწყობრში დგებიან გარემონტებული ტრაქტორები მისაბმელი იარაღ-მანქანებით. ისინი ჩამოყრივებულან რაზმეულად სატრაქტორო ბრიგადების მიხედვით და მზად არიან საკოლმეურნეო მიწდებებში გასაყვანად.

ლაგოდებელ მექანიზატორებს აღფრთოვანებთ მაღალი ნდობა. რაც ხალხმა გამოუცხადა მათს კოლექტივს, როცა მათი მტს-ის დირექტორი, სოციალისტური სამშობლოს დირექტორი შვილი ამხ. პართენ ქემოკიძე დაასახელეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

ამ მაღალი ნდობის პასუხად დღეღამ არ ცხრება მუშაობა მტს-ში. ყველა უზანზე იგრძობა მექანიზატორთა შემოქმედებითი შრომის პათოსი. ბარაქალა მათს მარჯვენას!

ცემაც, იგრძობა მათი მარჯვენის ძალაც. მართლაც, რემონტიდან გამოშვებულ მანქანას მოცხებული აქვს მათი მაღლიანი მარჯვენის „მორინი“. ამით კანონიერად ამაყობენ ისინი.

ყველა პატივისცემითა და სიყვარულით იხსენიებს აქ ხარატ პეტრე სოროკინს და მჭედელ ივანე გერაშჩენკოს. ერთი რუსია, მეორე უკრაინელი. ორივენი განუწყრელ დვიდლ ძმებად მიუღიათ ქართველ მექანიზატორებს. ყოველთვის, მუშაობის დამთავრების შემ-

ლაგოდების მტს-ის მოწინავე ადამიანები (მარცხნიდან მარჯვნივ): ირაკლი, ვასლი და შალვა გოზალიშვილები



ყვანის სამუშაოთა მექანიზაცია, ფართოდ გაჩაღონ შრომატევადი პროცესების მექანიზაცია მეცხოველეობაში, კარტოფილისა და ბოსტნეულის წარმოებაში, დანერგონ საკოლმეურნეო წარმოებაში მეცნიერებისა და მოწინავე პრაქტიკის მიღწევები, უზრუნველყონ კოლმეურნეობათა შემდგომი ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცება და ამ საფუძველზე კოლმეურნეთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესება.

— მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი, — ამბობს მტს-ის დირექტორი ამხ. ქემოკიძე, — რადაც უნდა დაგვიჯდეს ჩვენი მტს-ის მომსახურების კოლმეურნეობებში მივალწიოთ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის მკვეთრ გადიდებას, სოციალისტური მეცხოველეობის მძლავრ აღმავლობას შრომატევად სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაციის გზით. ამის საფუძველი ჩვენ გვაქვს.

მართლაც, ლაგოდების მტს-ი ტექნიკური პროგრესისა და კულტურის ნამდვილ ცენტრს. სამშობლომ იგი აღჭურვა შესანიშნავი ტრაქტორებითა და სხვა თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანებით, მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, უზრუნველყო შრომასა და ბრძოლაში ნაწრთობ მექანიზატორთა საუცხოო კადრებით.

სექტემბრის პლენუმის შემდეგ სპეციალისტთა ახალი ნაკადი მოვიდა მტს-ში. მათ შორის ინიჟინერ-მექანიკოსები, აგრონომები, ზოოტექნიკოსები, ვეტეკიმები, სულ ცამეტი კაცი.

კოლმეურნეობებში იგრძობა სიხალე. საითაც გაიხედავთ, რომელ ბრიგადასაც მოინახულებთ, იქ მტს-ის წარმომადგენელს შეხვდებით. ყველას მებვდებით საქმიან ვითარებაში: ერთნი სათესლე მასალას ამოწმებენ, მეორენი კოლმეურნეობის 1954 წლის საწარმოო გეგმას აზუსტებენ, ზოგი მარცვლეული და ტექნიკური კულტურების მოსავლიანობის გადიდების ღონისძიებათა შემუშავებას ჩასჯდომია, სხვები მეცხოველეობის ფერმებში შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის საკითხებზე მსჯელობენ და ა. შ.

მაგრამ ყველაზე მეტი გამოცოცხლება მაინც მტს-ის სახელისონშია. აქ თქვენს ყურადღებას იპყრობენ ორი თაობის წარმომადგენლები — მტს-ის კადრის მუშები ზეინკალი ვასილ გოზალიშვილი და მისი შვილები — ზეინკალი ირაკლი და მჭედელი შალვა. მათს მუშაობაში ჩაქსოვილია შრომისადმი მხურვალე სიყვარული, თავისი პროფესიისადმი პატივისცემა, რომელიც სიამაყეში გადადის. დიან, ამაყობენ გოზალიშვილები თავიანთი პროფესიით, ამაყობენ იმით, რომ თვითიული ტრაქტორისა თუ კომბაინის მოტორთა რიტმულ გუგუნში მოისმის მათი მავის-



# ფონგასი



## ბრ. ზარალიშვილი

სამასი წლის წინათ, 1654 წლის იანვარში, პერე-იასლავის რაიონში გამოაცხადა რუსეთთან უკრაინის შეერთება. ამით უკრაინელმა ხალხმა თავისი ბედი მოქმე რუს ხალხს დაუკავშირა და ისინა თავი უცხოელთა მონობისაგან.

რუსეთთან ერთიან სახელმწიფოდ უკრაინის შეერთებამ ხელი შეუწყო ორი მოქმე ხალხის კულტურისა და ეკონომიკის განვითარებას, რამაც თავისი უმაღლესი გამოხატულება საბჭოთა ეპოქაში პოვა.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ მოუტანა სრული თავისუფლება უკრაინელ ხალხს და 1917 წლის დეკემბერში სრულიადუკრაინის საბჭოების I ყრილობამ უკრაინა საბჭოთა რესპუბლიკად გამოაცხადა, ხოლო 1922 წლის დეკემბერში საბჭოების სრულიადსაკავშირო ყრილობაზე ნებაყოფლობითი და თანასწორუფლებიანობის საფუძველზე უკრაინა გაერთიანდა საბჭოთა რესპუბლიკების კავშირში. ვ. ი. ლენინი ამასთან დაკავშირებით წერდა, რომ „ველიკოროს და უკრაინელ პროლეტარათა ერთიანი მოქმედებისას თავისუფალი უკრაინა შეესაძლებელია, ამ ერთიანობის გარეშე მასზე ლაპარაკიც კი ზედმეტია“ (თხზ., ტ. 20, გვ. 19).

საბჭოთა ეპოქაში კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ბრძნული პოლიტიკის შედეგად შესაძლებელი გახდა დამთავრებულიყო უკრაინის მთელი ტერიტორიის გაერთიანება. 1939 წელს მოხდა დასავლეთ უკრაინის შემოერთება, 1940 წელს ჩრდილო ბუკოვინისა და იზმაილის ოლქისა, 1945 წელს იმიერკაპატის უკრაინისა.

ზუსტად უნდა აღინიშნოს საბჭოთა უკრაინა გადაიქცა მძლავრ ინდუსტრიულ-საკომერციულ რესპუბლიკად. თანამედროვე უკრაინა ეს არის ქვანახშირის, ლითონის, მანქანების, ქიმიური, მსუბუქი და გემოკვების მრეწველობის მაღალგანვითარებული რესპუბლიკა, მსხვილი მიწათმოქმედებისა და მაღალპროდუქტიული მეცხოველეობის რესპუბლიკა.

უკრაინის მთელი სახალხო მეურნეობის საფუძველს წარმოადგენს დონბასი, რომელიც ყველაზე მძლავრ ეკონომიურ რაიონად ითვლება მთელ საბჭოთა კავშირში და ძირითადად სტალინისა და ვოროშილოვგრადის ოლქებს მოიცავს.

დონბასის განვითარება იწყება მას შემდეგ, როდესაც XVIII საუკუნის დასაწყისში მდინარე დონეცის აუზში ცნობილმა რუსმა გეოლოგმა გრიგოლ კაპუსტინმა ქვანახშირი აღმოაჩინა. როდესაც, თურმე, აზოვის ლაშქრობის დროს პეტრე I აჩვენეს დონეცის ტერიტორიაზე მოპოვებული ქვანახშირი, მას უთქვამს:

„Сей минерал, если не нам, то нашим потомкам весьма полезен будет“.

უკვე 1723 წლიდან იწყება ქვანახშირის საბადოთა ექსპლოატაცია. მაგრამ ქვანახშირის უპირველესად ადგილობრივი მოთხოვნილებებისათვის იყენებდნენ. მალე დონბასში დაიწყო ქვანახშირის გამოყენება ლითონის გამოსადნობად, მაგრამ ტრანსპორტისა და

მოსმარების ბაზრების არარსებობა ხელს უშლიდა სამხრეთში შავი მეტალურგიის განვითარებას.

დონბასის ზრდა-განვითარებას უდიდესი ბიძგი მისცა ერთი მხრივ რკინიგზების მშენებლობამ და სამრეწველო ცენტრთან კავშირმა, მეორეს მხრივ მაღალხარისხოვანი კრივოი-როვის რკინის მადნისა (1880 წ.) და ნიკოპოლის მარგანეცის საბადოს (1886 წ.) აღმოჩენამ. უნდა აღინიშნოს, რომ მთელ მსოფლიოში ისე ახლო არსად არ არის განლაგებული ქვანახშირის, რკინის მადნისა და მარგანეცის საბადოები, როგორც უკრაინაში, ამასთანავე დონბასსა და მის მახლობელ რაიონებში დიდი რაოდენობით მოიპოვება მეტალურგიისათვის აუცილებელი კარციანი ქვები, კირქვები, ცეცხლამძლე თიხები, იაფი ელექტროენერგია (დნებაროპესის სახით).

გასული საუკუნის დამლევეს დონბასი გადაიქცა რუსეთის მძლავრ საქვანახშირო-მეტალურგიულ ბაზად. ასე, მაგალითად, თუ 1867 წელს ურალი იძლეოდა მთელი რუსეთის თუჯის პროდუქციის 65 პროცენტს, ხოლო სამხრეთი 0,3 პროცენტს, 1902 წელს სურათი მკვეთრად შეიცვალა. ამ დროისათვის ურალი იძლეოდა რუსეთის თუჯის გამოდნობის 28 პროცენტს, სამხრეთი კი 53 პროცენტს. ამრიგად, უკრაინის მეტალურგიული რაიონის ფორმირება ძირითადად 1900 წლამდე მოხდა და ამ პერიოდთან დაწყებული დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე მის ტერიტორიაზე არ აშენებულა არც ერთი მეტალურგიული ქარხანა.

ძველი დონბასი თავისი ტექნიკური აღჭურვილობით ჩამორჩენილი იყო, სუსტი იყო წარმოების სხვადასხვა დარგთა ურთიერთკავშირი. რაც მთავარია ადგილობრივი შავი ლითონისაგან მანქანების დამზადება დონბასის ფარგლებს გარეთ ხდებოდა. მრეწველობა აღჭურვილი იყო ინგლისური, გერმანული და სხვა ქვეყნების მანქანებით, სამაგიეროდ აქ ვერ ნახავდით მანქანებს რუსული მარკით. უცნაურია, მაგრამ ფაქტია, რომ დონბასის მსხვილი სამრეწველო ცენტრები ეკონომიურად უფრო მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული მოსკოვსა და ლონდონთან, ვიდრე ახლომდებარე ტერიტორიებთან. მათი პროდუქცია ადგილობრივი მოხმარებისათვის არ იყო გათვალისწინებული.

სამოქალაქო ომის პერიოდში მოიშალა დონბასის მეურნეობა. პარტიის XI ყრილობაზე ვ. ი. ლენინი ამბობდა, რომ დონბასი „არის მთელი ჩვენი ეკონომიკის ცენტრი, ნამდვილი საფუძველი. რუსეთში მსხვილი მრეწველობის არავითარ ადგილზე, სოციალისტების არავითარ ნამდვილ მშენებლობაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლება, რადგან მისი აშენება შეუძლებელია ისე, თუ არა მსხვილი მრეწველობის საშუალებით, თუ არ ადვადგენთ, სათანადო სიმძლვეზე არ დაყვანებთ დონბასს“ (თხზ., ტ. 33, გვ. 349).

საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში დონბასის განვითარება სწრაფი ტემპით წავიდა წინ და თანამედროვე სოციალისტური დონბასის სამრეწველო კომ-

პლექსი შედგება ექვსი ურთიერთდაკავშირებული დარგისაგან. ესენია ქვანახშირის მოპოვება, ელექტროსადგურები, შავი და ფერადი მეტალურგია, მანქანათმშენებლობა და ქიმიური მრეწველობა.

დონბასის მთავარი სიმდიდრეა ქვანახშირი — მრეწველობის ეს ბური, — რომლის მარაგი მთელი საბჭოთა კავშირის საერთო მარაგის ერთ მეოთხედზე მეტს შეადგენს, ხოლო საშუალო წლიური მოპოვება საბჭოთა კავშირის ქვანახშირის მოპოვების თითქმის ნახევარს.

დონბასს საეკონომიკურად უწოდებენ „საკავშირო ცეცხლფარეშს“. მართლაც, მისი ქვანახშირი არა მარტო აკმაყოფილებს უკრაინის რესპუბლიკის მოთხოვნილებას სათბობა-საწვავით, არამედ უწყვეტ ნაკადად მიედინება მოსკოვსა და ლენინგრადში, ბალტიისპირეთსა და ბელორუსიის რესპუბლიკებში, ჩრდილო კავკასიასა და ვოლგისპირეთში (ვოლგა-დონის არხით) და საერთოდ საბჭოთა კავშირის თითქმის მთელს ევროპულ ნაწილს ტერიტორიაზე.

ქვანახშირის მზარდ მოპოვებას ხელი შეუწყო სამუშაოთა თითქმის სრულმა მექანიზაციამ. საკმარისია აღინიშნოს, რომ ქვანახშირის მოპოვებისა და ტრანსპორტირების მექანიზაციით დონბასი პირველადილზეა მთელ მსოფლიოში და 93 პროცენტს აღ-

სტალინო. ოპერისა და ბალეტის თეატრი. ფოტო გ. უგრინოვიჩისა





წევს, მაშინ როდესაც ეს მარტოველი საფრანგეთში 76 პროცენტს უდრის, ინგლისში 62 პროცენტსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში 88 პროცენტს.

შემთხვევითი არ არის ის ფაქტიც, რომ დონბასი გადაიქცა მძლავრი სტახანოვური მოძრაობის კერად. შრომის მექანიზაციამ, სამუშაოთა ორგანიზაციის გაუმჯობესებამ შახტებში, მშრომელთა ფართო მასების შემოქმედებითა აქტივობამ და პატრიოტულმა ინიციატივამ სოციალისტური შეჯიბრების გაშლაში თავისი გამოხატულება პპოვა შრომის ნაყოფიერების ზრდაში. სტახანოვური მოძრაობა ჩაისახა შახტში ცენტრალური ირმინო (ამჟამად სტალინის სახელობის შახტი ქალაქ კადიევკაში), სადაც 1935 წლის 31 აგვისტოში მნგრეველმა ალექსი სტახანოვმა ხუთ საათში გამოანგრია 102 ტონა ქვანახშირი, გადააჭარბა რა იმდროინდელ ნორმებს თოთხმეტჯერ. მას შემდეგ სტახანოვური მოძრაობა დონბასიდან მთელ საბჭოთა კავშირში გავრცელდა და გადაიქცა სოციალისტური შეჯიბრების ახალ, უმაღლეს საფეხურად და მოგვცა რეზერვები შრომის ნაყოფიერების შემდგომი ზრდისათვის.

დონბასში თავმოყრილია ჩვენი ქვეყნის შავი მეტალურგიის უდიდესი ქარხნები, მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ი. სტალინის სახელობის ქარხანა ქალაქ სტალინოში, ს. კიროვის სახელობის ქარხანა ქალაქ მაკეევკაში (ე. წ. „უკრაინის მაგნიტოგორსკი“), ს. ორჯონიკიძის სახელობის ქარხანა

სტალინო. ჩელუსკინელების სახელობის შახტი № 1-ის მეშახტეები კომბაინის მძლავრი ნ. ფომენკოვი (მარტინი) და უბნის უფროსი ნ. სერბინოვიჩი მანქანის მართვის პულტთან.

(საკდების ფოტოქრონიკა)



ქალაქ ენაკიევოში, ფრუნზეს სახელობის ქარხანა ქალაქ კონსტანტინოვკაში, კ. ვოროშილოვის სახელობის ქარხანა ქალაქ ვოროშილოვში და სხვ. მეტალურგიულ მრეწველობას ხელი შეუწყო კოქსოქიმური მრეწველობის განვითარებამ და საბჭოთა უკრაინა მრავალნაირი ქიმიური პროდუქტების უდიდესი მწარმოებელია, არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ მთელ მსოფლიოშიც. გარდა ამისა ქიმიურმა მრეწველობამ ხელი შეუწყო სოფლის მეურნეობის

## ალ. ქუთათელი

### მემობრობა

დღეს კინოში ვნახე კონგოს მოცეკვავე ზანგი ქალი. ინდონეზელ კონტა ვოგოს ცვლის ჭაბუკი სენეგალის.

ლონდონიდან ზანგი ტუნდე ჩამოვიდა მოკისკისი, გვერდით უდგას ტუნდეს—სტუნდეს მზით დამწვარი ქალი მისებრ.

ზანგი, თეთრის თანასწორი. — მადაგასკარ-მალაკელი, მშვიდობაზე ხალხთა შორის ლექსებს მღერის ლერწმის ყელით.

პენჯაბელი თეთრი ჩალმით მოაბიჯებს დინჯი, წყნარი, ხატოვანი ბრძენი კალმით მეგობრების რიგში მდგარი.

მოვლენ მკლავებ-დაკვალთული დიდ რუს ხალხის მხნე გმირები, ხალხთა შორის აღმართული, რომ დალეწეს ჯებირები.

ეს ზღაპარი არ გეგონოთ, — ოცნებები ახდა ცხადად. აქ შეყრილა სამეგობროდ ყველა ქვეყნის ახალგაზრდა.

აღმავლობასა და მძიმე მრეწველობა მჭიდროდ დააკავშირა სოფლის მეურნეობასთან.

უკრაინის ქიმიური მრეწველობის უდიდესი მიღწევა ქვანახშირის მიწისქვეშა გაზიფიკაცია, რაზედაც ოცნებობდა დიდი რუსი მეცნიერი მენდელეევი. ის 1888 წელს წერდა, რომ ალბათ დადგება ისეთი ეპოქა, როდესაც ქვანახშირს მიწიდან არ ამოიღებენ, არამედ იქვე მიწაში გადააქცევენ გაზად და მიღებით გაანაწილებენ დიდ მანძილზე. დონბასში, პირველად მსოფლიო პრაქტიკაში, დაიწყო ქვანახშირის მიწისქვეშა გაზიფიკაცია, რაც უკვე წარმატებით ხორციელდება პოდმოსკოვიეს აუზსა და კუზბასში.

არანახული ტემპებით გაიზარდა დონბასში მანქანათმშენებლობა, რომელიც ძირითადად სპეციალიზებულია სამთო-სამახტო და მეტალურგიულ მოწყობილობათა, სატრანსპორტო, ელექტრომოწყობილობათა, სასოფ-

ლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობისა და დაზოგო-მშენებლობის წარმოებაზე. მანქანათმშენებლობის უდიდესი ცენტრია ნოვოკრამატორსკის მძიმე მანქანათმშენებლობის ქარხანა. ესაა ქარხანა ქარხანა მართლაც აქ მზადდება მთელი ქარხნები: ამ გიგანტის საამქროში დამზადებული უნიკალური საგლინავი მანქანები, რთული აგრეგატები წარმატებით მუშაობენ ჩვენი ქვეყნის რიგ მეტალურგიულ ქარხნებში, ერთ-ერთი მათგანი პირველი ომის შემდგომი ბლიუმინგი დადგმულია ი. ბ. სტალინის სახელობის რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში. ამავე ქარხანაშია დამზადებული ტურბინები დნებროპეტროსისათვის და მზადდება ტურბინები და სხვა მოწყობილობანი კუიბიშევის, სტალინგრადისა და კახოვკის ჰიდროელექტროსადგურებისათვის. ნოვოკრამატორსკის მიერ დამზადებული მოსიარულე ექსკავატორები წარმატებით მუშაობენ კომუნისზმის დიად მშენებლობებზე.

მეტალურგიულ მოწყობილობას ამზადებს აგრეთვე დნებროპეტროვსკისა და დრუჟკოვის ქარხნები, რომელთა პროდუქტია მოკავშირე რესპუბლიკებსა და უცხოეთში გადის. სამთო-მოწყობილობათა ქარხნებიდან პირველ რიგში აღსანიშნავია გორლოვკის, ხარკოვის, სტალინოს, ვოროშილოვგრადისა და კრამატორსკის ქარხნები.

უკრაინის სამთო-სამახტო მოწყობილობათა სოუკეთესო ხარისხს კარგად იცნობენ ჩინეთის, ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეშახტეები. საბჭოთა კავშირსა და მის ფარგლებს გარეთ კარგად იცნობენ მძლავრ მიწისქვეშა მამწერალს — საქვანახშირო კომბაინ „დონბასს“, რომელმაც შახტებიდან ერთხელ და სამუდამოდ განდევნა ნიჩაბი; გორლოვკის კიროვის სახელობის მანქანათმშენებელ ქარხანაში დამზადებული კომბაინებით მექანიზებულ იქნა ქვანახშირის ნგრევა და ყველაზე რთული და შრომატევადი სამუშაო — ქვანახშირის დაყრა ტრანსპორტიორზე, რომელსაც დიდძალი დრო და ენერჯია სჭირდებოდა. ჩვენი ქვეყნის სიამაყეს წარმოადგენენ დონბასის ახალი, მზარდი სოციალისტური ქალაქები — სტალინო, ვოროშილოვგრადი, მაკეევკა, ჟდანოვი, კრამატორსკი, გორლოვკა, კადიევკა და სხვ., რომლებიც კრივოიროვის რკინის მადნის საბადოსა და ნიკოპოლის მარგანეცთან ერთად ჰქმნიან საბჭოთა კავშირის პირველ საქვანახშირო-მეტალურგიულ ბაზას.

უკრაინელი ხალხი ამყობს დონბასით, იმ დონბასით, რომელიც ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა მოკავშირე რესპუბლიკას აწვდის ლითონსა და ფეროშენადნობებს, ქვანახშირსა და მინერალურ სასუქს, მძიმე მანქანებსა და კოქსს, სასოფლო-სამეურნეო და სატრანსპორტო მანქანებსა და სხვ.

რუსეთთან უკრაინის შეერთება არა მარტო უკრაინელი ხალხის, არამედ მთელი ჩვენი საბჭოთა ხალხების დღესასწაული და ზეიმია. ამ ღირსშესანიშნავ ისტორიულ თარიღს საბჭოთა კავშირის ხალხები ეგებებიან ახალი წარმატებებით კომუნისზმის მშენებლობის ფრონტზე.

საბჭოთა უკრაინის მშრომელები, საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთან ერთად, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით სულ უფრო ნაყოფიერს გახდიან თავიანთ შთამავონებულ შემოქმედებით შრომას ჩვენი დიადი სამშობლოს შემდგომი განმტკიცებისათვის. მათ თავიანთი ღირსეული წვლილი შეაქვთ მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცების საქმეში, კომუნისტური საზოგადოების აშენების საქმეში.



სტალინი და ქართული ლიტერატურის საკითხები

გამომცემლობა „საბჭოთა მწერალ-მა“ ამას წინათ გამოსცა ლევან ასათიანის ნარკვევების წიგნი — „სტალინი და ქართული ლიტერატურის საკითხები“, რომელიც ამხა-ხაგ სტალინის მიერ ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე სხვა-დასხვა დროს გამოთქმულ მოსაზრებათა მეცნიერული გადმოცემის ცდას წარმოადგენს.


წიგნი დაყოფილია თავებად, რომლებშიც ერთგვარი ქრონოლოგიური თანმიმდევრობით არის გადმოცემული ამხ. სტალინის ლიტერატურულ-რედაქტორული მოღვაწეობა, განხილულია მეტრძოლი ბოლშევიკური გაზეთების ფურცლებზე გამოქვეყნებული ბრძოლის პათოსით აღსავსე პოლიტიკური ლირიკის და ფელეტონის ჟანრის ნიმუშები.

ერთ თავში, რომელსაც ავტორი „ლიტერატურის შენიშვნების“ სახით წარმოადგენს, ნაჩვენებია ი. ბ. სტალინის მთარგმნელობითი მუშაობის ზოგიერთი მომენტი, აქვე მკითხველი ეცნობა სტალინის მიერ ქართული კლასიკური და რუსი დემოკრატი მწერლების, აგრეთვე უცხოელ ავტორთა შემოქმედების გამოყენების მაგალითებს.

ფართოდ ეხება ავტორი, აგრეთვე, სატირის და იუმორის გამოყენებას ი. ბ. სტალინის თხზულებებში და ზეპირ გამოსვლებში.


წიგნის სპეციალური თავი მიძღვნილია ახალგაზრდა სტალინის პოეტური

შემოქმედებისადმი. ლ. ასათიანი, ვრცლად იხილავს ი. ჭავჭავაძის რედაქტორობით გამოცემული გაზეთ



„ივერიის“ 1895 წლის 14 ივნისის ნომერს, რომელიც ჭავჭავაძის იოსებ ჯულაშვილის პირველი ლექსი — „ლილა“ დაიბეჭდა.

აღნიშნული წიგნი, რომელიც ავტორის მიერ ფართოდ ჩაფიქრებული ნარკვევების მხოლოდ ერთი ნაწილია, ი. ბ. სტალინის ლიტერატურულ-კურნალისტური მოღვაწეობის მრავალ, დღემდე უცნობ ფურცელს გადაშლის მკითხველის წინაშე.



ლიმიტრი გულია

ამას წინათ აფხაზეთისა და მთელი საქართველოს მშრომელებმა ზეიმით აღნიშნეს აფხაზეთის სახალხო პოეტის ლიმიტრი გულიას 80 წლის იუბილე.

სუხუმსა და თბილისში ჩატარდა პოეტის საიუბილეო საღამოები საბჭოთა კავშირის ხალხთა მწერლების მონაწილეობით.

დიდია ლიმიტრი გულიას დამსახურება, როგორც პოეტისა და საზოგადო მოღვაწის მშობლიური კულტურის წინაშე. არ არის სამწერლო და ფილოლოგიურ-სამეცნიერო მუშაობის არც ერთი დარგი, რომელშიაც მას თავისი ნიჭი არ ეცადოს და რომელთა განვითარებაში გარკვეული წვლილი არ შეეტანოს.

დ. გულიას მთელი ცხოვრება და შემოქმედება იმთავითვე საქართველოსთან იყო დაკავშირებული.

იგი სწავლობდა გორში და თავის დროზე რუსული კლასიკური ლიტერატურის გავლენასთან ერთად, მე-19 საუკუნის ქართული მწერლობის ცხოველყოფილი გაგლენაც განიცადა.

დ. გულიას რევოლუციამდელი შემოქმედება ასახავდა აფხაზეთის მშრომელების დუბჭირ ცხოვრებას, მათ ბრძოლას უკეთესი მომავლისათვის. პოეტს ღრმად სწამდა მშრომელთა გამარჯვების გარდუვალობა, შავზნელი ცარიზმის დამხობის აუცილებლობა.

ამ მეტრძოლი ოპტიმიზმითაა გამსჭვალული არა მარტო გულიას ლექსები, არამედ მისი პროზა და დრამატურგიაც.

დ. გულიას ნიჭმა ფართო გასაქანი ჰპოვა დიდი ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ. პოეტი შთაგონებით უმღერის ოქტომბრის რევოლუციის შედეგად სოციალური და ეროვნული ჩაგვრისაგან გათავისუფლებულ ხალხთა ლენინურ-სტალინურ მეგობრობას, საბჭოთა ხალხის ყველა გამარჯვების სულსჩამდგმელსა და ორგანიზატორს დიად კომუნისტურ პარტიას.

სამამულო ომის პერიოდში პოეტი უმღეროდა გმირი საბჭოთა არმიის ძლევამოსილებასა და ვერაჯ მტერზე გამარჯვების რწმენას უნერგავდა ჩვენს მეტრძოლებს.

80 წლის მსცოვანი პოეტი ახლაც დიდის ენერგიით განაგრძობს მრავალმხრივ საზოგადოებრივ-კულტურულ მუშაობას და მთელის ხმით უგალობს საბჭოთა ხალხის მშვიდობიან შრომას, მშვიდობის საქმის გამარჯვებას მთელს მსოფლიოში.

ალიო მიჩხხელია



უსაზღვრო სიყვარულს კომუნისტური პარტიისადმი, დიდი ბელადების — ლენინისა და სტალინისადმი. ამ განყოფილებიდან მკითხველის ყურადღებას იპყრობენ პოეტის ცნობილი ლექსები: „სამშობლო ბელადისა“, „დაბადება“, „სადაც ვშობილვართ“, „ქანდაკება მცხეთაში“, „ლენინი“, „ჩემი ცხოვრების მთავარი თემა“, „სტუმარი“, „დამკვერელი ბრიგადები“, „ინციდენტი უჯრედის კრებაზე“, „მეგობრები“, „მინი სამშობლოს“ და სხვ. მეორე განყოფილებაში („ლექსი ომის დროს“) მითავსებული ლექსების შემრავლესობა დაწერილია დიდი სამამულო ომის წლებში. ამ განყოფილებაში სულ შეტანილია 25 საუკეთესო ლექსი.

წიგნის მესამე განყოფილება, — „ქრობის რველიდან“, ასახავს პოეტის შემოქმედების 1921-1923 წლების პერიოდს.

წიგნის მეოთხე განყოფილებაში, — „სიმღერა-სიყვარული“, უმღერის სამშობლოს წარმატებულ ბუნებას, სიყვარულს, საბჭოთა ხალხის მეგობრობას, ჩვენი საზოგადოების მორალურ-პოლიტიკურ ერთიანობას.

მეხუთე განყოფილება „მინიატიურები“ წარმოადგენილია მინიატიურული ციკლებით.

წიგნის მეექვსე განყოფილებაში „ბავშვებს“, შეტანილია პოეტის რჩეული საბავშვო ლექსები.

მეშვიდე განყოფილება წარმოადგენილია პოემებით. აქ სულ 5 პოემაა. ესენია: „მე და ბარათაშვილი“, „ურმული“, „აი, ადამიანი“, „ენგური“ და „რუსთავი“.

წიგნში მოთავსებულია წიგნის ავტორის ალ. მიჩხხელიას პორტრეტი, შესრულებული სახალხო მხატვრის უჩა. ჯაფარიძის მიერ.

რ. ორჯონიძე



# სპირინღება



აკაკი ბალიაშვილი

მხატვარ ქალქმანქმანი  
გიორგი თაყაიშვილი

მ ო თ ხ რ ო ბ ა

სვირინღება მრავალი გამოვიძიე: ლათინურ ლექსიკონში ლ ა ქ ა ლ გამოითარგმნა, ხოლო ელინურ ლექსიკონში გ ა რ ყ ვ ა დ.

სულხან-საბა ორბელიანი

— განა ყოველ ჩვენგანს შეუძლია დაიკვებნოს, მთელი ძალ-ღონით ვებრძვი ბოროტებასო? ან იქნებ ფიქრობთ, რომ ბოროტობაშია შეზღუდული აწერია — დამნაშავე ვარო, აბა ერთი, იმ ყმაწვილს დააკვირდით, ოსკარ უაილდის რომანიდან გამობრძანებულ დენდის რომ გვაგონებს. რა მიზიდველი სახე აქვს, როგორი ნატიფი ქცევა, პირდაპირ, მთელი მისი გამომეტყველებით თითქო გეუბნება, თუ გსურთ კეთილშობილების, გონებრივი განვითარების, პატიოსნების და მაღალი იდეების მქონე არსების ეტალონი იხილოთ, მოზრძანდით და მე შემომხედეთო. ეგ ყმაწვილი იმ მცირე რიცხვს ეკუთვნის, რომლებიც სახელს უტყენენ ჩვენს შესანიშნავ, შრომისმოყვარე ახალგაზრდობას. იგი ვახლავთ... მაგრამ რად გინდათ მისი გვარი და სახელი, ჯერ ამბავს გიამბობთ.

ამ რამდენიმე წლის წინათ რაიონის ერთ-ერთი საავადმყოფოს მთავარ ქირურგად დამნიშნეს. ეგ ყმაწვილი მაშინ იქ დამხვდა. ახლად ინსტიტუტდამთავრებული იყო და იქ მუშაობდა. მისგლისთანავე მიამბეს, რომ ეს ყმაწვილი თურმე ისეთ რთულ ოპერაციებს აკეთებდა და მერე ისე თამამად, ძალიან გამოცდილ ქირურგსაც არ ეყოფოდა გამბედაობა ასეთ საქმისათვის ხელი მოეკიდა. ცხადია მაშინვე დავიბარე, ავუკრძალე ოპერაციების კეთება და თანაც გააპირით განუცხადე, სანამ პირადად მე არ ჩამაბარებდა სათანადო გამოცდებს, საოპერაციო მაგიდას არ მივაკარებდი. დამეთანხმა, მეტი რა გზა ჰქონდა. მგონი კიდევაც შეუღდა მზადებას, რომ ჩემთვის თავისი ცოდნა დამეტყვიებინა. ორი კვირაც არ იქნებოდა გასული ამის შემდეგ, რომ ჩემთან მოვიდა და მეუბნება, ძალიან ბოდიშს ვიხდი, მაგრამ ერთი სათხოვარი მაქვსო. რა გინდა-მეთქი, ვეკითხები.

— ბატონო მე ერთი დისწული მყავს, პატარა გოგონა, დედა აღარ ჰყავს, მამა ფრონტზეა და ბავშვს მე ვზრდი, იმ უბედურს მენჯის ძვლის დეფორმაცია აქვს და, თუ შეიძლება თქვენ, როგორც ქირურგმა პედიატრმა ოპერაცია გაუკეთეთო. — კარგი, მოიყვანე-მეთქი.

მართლაც, მეორე თუ მესამე დღეს მოიყვანა ბავშვი. გავსინჯე, შესანიშნავი პატარა გოგონა მართლა მძიმე მდგომარეობაში იყო. მას ხანგრძლივი მკურნალობა და მრავალჯერადი ოპერაცია ჰქონდებოდა. პირველი ოპერაციის შემდეგ თაბაშირში უნდა ჩამესვა, ორიოდე თვის შემდეგ თაბაშირი მომესხნა, ამდენივე ხანი ბავშვს თავისუფლად უნდა ევლო, მერე კიდევ გამეკვთა და ასე ხუთჯერ თუ ექვსჯერ გამემეორებინა. წელიწადზე მეტი ხანი იყო საჭირო ამ მკურნალობისათვის. შეგუდექი საქმეს. გაგაკეთე პირველი ოპერაცია, გავიდა დაწესებული დრო, გაუუკეთე მეორე. საქმე კარგად მიდის. განსაკუთრებით მახარებს ეს ამბავი, რადგან მთელ საქართველოში მხოლოდ ორი ქირურგი ვაკეთებთ ამ ურთულეს ოპერაციას. მართალია წინათაც მქონდა ჩატარებული ასეთი მკურნალობა, მაგრამ ახლა განსაკუთრებული ოსტატობა გამოვიჩინე.

ამასობაში, თვითონ ამ ახალგაზრდა ექიმს ისეთი საქციელი შევნიშნე, არ მომეწონა. რაღაც აურია. მუშაობას გულს არ უღებს, დადის, სვამს, ექთან ქალებთან რაღაცას საიდუმლოდ ჩურჩულებს და უხეშად ებღალატუნება. ერთი სიტყვით, თავისი საქციელით სახელს უტყებს მთელ საავადმყოფოს. შეგუთანხმდი დირექტორს და საავადმყოფოდან გავრიცხე.

მეორე დღეს გამახსენდა, რომ ის პატარა გოგონა უნდა მოეყვანა საოპერაციოდ. მაშინვე კაცი გავუგზავნე ბინაზე და შევუთვალე: სამსახური სამსახურია, მართალია, აქედან მოგხსენი, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩემი მოვალეობა დამავიწყდეს და თქვენთან უკმაყოფილების გამო თქვენი დისწულის ბედი არ მაწუხებდეს, ეგ ბავშვი მოიყვანე ვუეჭიმო-მეთქი.

დაბრუნდა კაცი და მითხრა, ის, ბატონო, სულ წასულა აქედან, მგონია თბილისში, და არაფერ არაფერი იცის, თვითონ იმის და არც მისი დისწულის შესახებო. რაღას ვიზამდი. გავიფიქრე ალბათ სხვა ექიმს მივპერის და თავის საქმეს თვითონ მოუვლის-მეთქი. მაღე კიდევაც მიმავიწყდა ეს საქმე. მაშინ ისე ვიყავი დატვირთული, რომ მართალი უნდა ვთქვა, ასეთი ამბებისათვის სათავეცემოდ არც კი მეცალა.

ორი კვირაც არ იქნებოდა გასული ამ ამბის შემდეგ, რომ ერთ სადამოს გაიღო ჩემი ოთახის კარები და ვიდაც შავებში გამოწყობილი ქალი შემოვიდა, დაიჩოქა, მომხვია მუხლებზე ხელი და... „შენი ჭირიმი ბატონო... ნუ დამდუბავ... მიშველე შენი მუხლებს ჭირიმი... ნუ გამწირავ... შეიბრალე ჩემი გოგონა... ის ოცი ათასი ხომ მოგართვი... აგერ ათი ათასი მოვაროვე კიდევ... გავყიდი ყველაფერს... რათ მინდა რამე... ყრუბად დაგიდგებით ცოლიც და ქმარიც, ოღონდ ნუ მიგვიტოვებ შვილს“.

კინაღამ გავგიჟდი. მოვიკიდე ამ ქალს ხელი, წამოვყენე ფეხზე, ვეკითხები: ვინ ხარ, ქალო, რა გინდა, გამაგებინე წესიერად, ამისხენი, რა ოცი ათასი, ვინ ქალიშვილია, მე რატომ უნდა გავწირო?

ერთი სიტყვით, გავშტერდი კაცი.  
— ნუ გავწიროვ, შენი ჭირიმი.  
— ქალო, გამაგებინე რა გინდა?  
— რა, ბატონო და... ნუ გამიწყრები, შენი ჭირიმი...  
— არ გიწყრები. დამშვიდდი. აგერ დაბრძანდი.  
— ოცი ათასი ხომ მოგართვი... აგერ კიდევ ათი...  
— ქალო, ხომ არ გაგიჟდი, რის ოცი ათასი, რას მელაპარაკები?  
— ჩვენ რომ გამოვიგზავნეთ, შენი ჭირიმი, ექიმის ხელით, აქ რომ იყო (დამისახელა იმ ყმაწვილის სახელი და გვარი) ექიმი, იმის ხელით... ჩვენს ქალიშვილს რომ წამლობდი...  
— ვინ, რომელ ქალიშვილს?  
— ჩემს გოგოს თამრიკოს, თქმოს სახსრები რო ტყივა...  
— რა? ის ხომ იმ ყმაწვილის დისწული იყო. ობოლი. იმას არც დედა ჰყავს, არც მამა. თქვენი საიდანაა?  
— არა, ბატონო. დედაც ყავს და მამაც. ჩემი ბავშვია, უბედური. ჩვენ აქვე ვცხოვრობთ, გადამა სოფელში.  
— ის ვაჟბატონი რაა თქვენი?  
— არაფერი, ბატონო. იმასთან მივედი პირველად. ამ ბავშვს იმის მეტი-თქვენზე გვიტონა — დედიმწის ზურგზე ვერაფერ ვერ მოარჩენსო, მარაო, ასე თქვა, ეგ ისეთი სპეციალისტია, დრო არა აქვს და თუ ფულს ბლომად არ მისცემთ, ისე არ იზამსო. გვეიმეტეთ თავი. გავყიდეთ ყველაფერი და ის ოცი ათასი ქე მოგართვი...  
— აჰ, ღმერთო ჩემო, გავგიჟდები...  
— რავა, ნენა, არ მოუტანია თუ? დამლუპა? — იტიცა ქალმა ლოყაზე ხელი და შეშლილივით მიმოიხედა, — თქვენ რავა გაკადრათ... ღმერთო მომკალი! შენი ჭირიმი, მაგიზა ნუ დამილუპავ შვილს... აგერ ეს ათი ათასი მიირთვით და იმას... მიწაში რომ ჩაძვრეს, მაინც მოვანახე. იმის ატკაპს რავა იტიყვის.

— ქალო, მოიცა, დამშვიდდი. ეგ ათი ათასი ჯიბეში ჩაიდე. წადი, ის ბავშვი მოიყვანე და ვუეჭიმებ. შენი ფული საჭირო არ არის. ჩემს გასამრჯელოს მე მთავრობა მაძლევს და ჩვენ ვალდებული ვართ, ხალხს ვუეჭიმოთ.

არ დამიჯერებთ და იმ ქალის დარწმუნება, რომ ფულს არ ავიღებდი, უფრო გამივირდა, ვიდრე იმ ბავშვის საბოლოო განკურნება. მერე დაწვრილებით მიამბო იმ ქალმა: დადიოდა თურმე ეს ყმაწვილი იმათ ოჯახში, მიიყვანდა ხუთ-ექვს ამხანაგს და ჰქონდათ გაბმული ქეიფი. გააჩანაგეს ოჯახი. მერე გაამზადებს თურმე ცოლ-ქმარი ძღვენს, დაკლავენ ქათმებს, გოჭს, გაუყვებენ ღვინით ღოჭებს და ატანენ ჩემთან. ეს არამზადა ჩემზე ეუბნებოდა თურმე, ის ექიმი აქ არ მოვა, არ იკადრებს და მასთან თუ გამატანო რამეს, არ იქნება ცუდიო.

ჰოდა, ამას წინათ შევხვდი ქუჩაში. შევხვდი და მოულოდნელად ვგრძნობ, რომ ვწითლდები. სირცხვილისაგან ვწითლდები. მე ვწითლდები, დალახვროს ეშმაკმა ჩემი თავი. არის ხოლმე ზოგიერთი ადამიანის ხსიათში ასეთი ფსიქოლოგიური მომენტი, რომ სხვისი უმართებულო ქცევის გამო, თვითონ განიცდის სირცხვილის მწვავე გრძნობას. დაფიცებული მქონდა: როგორც კი შევხვდები, დავავლებ ქოჩორში ხელს და მაშინვე პროკურორთან გავაქანებ-მეთქი. ახლა არ ვიცი ხანი გავიდა, თუ მთელი ჩემი მუქარა მისი დასჯის ოცნებებში ჩახვარა, სულ დავიბნე. თვითონ კი ისე შემეგება, ისე ვაშალა ხელი, ისეთი მხიარული სახით მომხვია, თითქო სამსახურიდან კი არ მომხსნას, არამედ კიდევაც დამეწინაურებოს. „...ოჰ, რა მონარული ვარ, პატივცემული პროფესორო, როგორ ბრძანდებით“... ასე და ისე, ერთი სიტყვით, ვითომ არაფერიც არ მომხდარა. რომ დავცილდი მერე მომივიდა ჩემს თავზე გული. ერთი მაგარი სილა უნდა გამეწინა და მე კი ისე დავიბნე, არ ვიცოდი ჩემი სიწითლე როგორ დამეფარა. მრცხვენოდა, იმის მაგივრად მე მრცხვენოდა, თითქო ეს დანაშაული მე ჩამედიონს.








ვ. ტორობაძე

ახალგაზრდა სტალინი მუშაობის დროს





ი. თრიაურო.  
სტუდენტი გოგონა



ე. კაკაბაძე.  
მსახიობი მედეა ჯაფარიძე





ი. შარლემანი

ლერმონტოვი მცხეთაში

საქართველოს მხატვრების 1953 წ. ნამუშევართა რესპუბლიკური გამოფენა.





ეროვნული  
ბიბლიოთეკა





ნურც თქვენს მახსოვრობას დაემდურებით და ნურც გული დაგწყდებათ თუ ამ ზღვის შესახებ ვერც ერთ გეოგრაფიულ სახელმძღვანელოში ვერაფერს ამოიკითხავთ.

ეს ზღვა კავკასიონის განშტოებულ ქედებს შორის მდებარეობს თბილისი-ბაქოს შუა გზაზე, სადაც რუკებზე ჩვეულებრივად სამუხის ტყეებია აღნიშნული.

ძველად ხალხმა მრავალი ლეგენდა შექმნა მტკვარზე... ამ გადმოცემებს შემოუნახავთ სევდიანი თქმულება აზერბაიჯანელ გოლიათზე, რომელსაც თურმე განრისხებული მტკვრის მორჯულმა განუზრახავს და წინ გადასდგომა მის შეუკავებელ მდინარეებს. ამ სითამამისათვის გაშმაგებულ მტკვრის ტალღას შუაზე გაუპაიგი და მისი სხეული ნაცრისფერ გორად გადაქცეულა.

გაზაფხულზე, წყალდიდობისას გაშმაგებული მდინარე აწყდებოდა მახლობელ სოფლებს, წალეკავდა და მთებიდან მოტაცებული ქვა-ბრეშით ჩახერგავდა მინდვრებს, აჭობებდა და ციების ბუდედ აქცევდა ამ ადგილებს.

მტკვართან საბრძოლველად, მის მოსათვინიერებლად დიდი ხანია პირი შეპკრეს მენავთებმა და მაღალი მოსავლის ოსტატებმა, რკინიგზელებმა, ექიმებმა და მეზღვაურებმა.

\* \* \*

მიჯრით აღმართულიყვენ ტოტებ-გადაშლილი მუხები, ტანმსხვილი თელეები, თეთრი ალგები და ეკალ-ბარდები. ხეებს შემოჭდობილი ლიანებით ყველაფერი ერთმანეთზე ისე გადახლართულიყო, რომ ტოტებში მზის სხივიც კი ვერ ატანდა. გასასვლელი ბილიკიც არსად მოჩანდა. უღრანი იყო, ნამდვილი უღრანი!

მეთაურის ტანკმა უკან დაიწია და ფოლადის მძიმე კორპუსი მაღლა შეავლო. მუხლებზემა ჰაერში გაიფრეს. ამას მოჰყვა გრძელი ნახტომი და მრავალტონიანი ფოლადის სიმძიმე ერთბაშად გადათელა თვით ბუნების მიერ შექმნილი ეს დაბრკოლებანი.


დიწელის გულისწამლები გაუგონი, დაცემული ხეების ქაზანი და დამფრთხალ ფრინველთა გუნდის შეშინებული სიფილი ერთმანეთში აირია.

ტანკები ყოველი მხრიდან უტმვდნენ, თელავდნენ და მუხლებზეთი აუთოებდნენ შეუპოვარ მოწინააღმდეგებს. აზერბაიჯანის მიწაზე გამართული ეს უსისხლო ბრძოლა სულ უფრო და უფრო ცხარდებოდა და დამლელი ხდებოდა.

ბუნებასთან გამართულ ამ უღმობელ ორთა ბრძოლაში ტანკები ადამიანების მხარეზე იბრძოდნენ. ეს ის საბრძოლო მანქანები იყო, რომლებიც რამდენიმე წლის წინათ იცავდნენ კავკასიონის მისადგომებს, ათავისუფლებდნენ მტრისგან დაპყრობილ მიწებს, იერიშით იღებდნენ ბერლინს.

ტანკებისათვის მხოლოდ გრძელ-ლულიანი ზარბაზნები მოეცილებინათ.

ტანკების მიერ გაწმენდილ გასასვლელებში ნაჯახმომარჯვებული ადა-



# მთეზურის

## გ ღ ვ ა გ ე

ი. მუხაძე

მინები ფუსფუსებდნენ. აზერბაიჯანელი კოლმეურნენი, მოსკოველი პროფესორები, ლენინგრადელი, ბაქოელი, თბილისელი, სვერდლოვსკელი თუ ზაპოროჟიელი ინჟინრები ნაბიჯ-ნაბიჯ ჰკაფავდნენ ტყეს და ათავისუფლებდნენ მინგეჩაურის სამშენებლო მოედანს. ასე იქმნებოდა მინგეჩაურის ზღვის ნაპირები, საითკენაც ახლა, ზამთრის შუალამით მატარებელი სტუმრებს მიაქროლებდა.

...დილაღრანი ვაგონის საკმლბ-თან შეჯგუფებულ ადამიანებს უცნაური სანახავი წარმოუდგათ თვალწინ.

მტკვარი ისე მღორედ მიედინებოდა კასპის ზღვისკენ, თითქოს თქვენს წინ სწრაფი და აზავებული, მთის ფერ-დობებზე დამდნარი თოვლის ნიაღვრებით გულმოცემული კავკასიის მდინარე კი არა, არამედ შუა რუსეთის დიდებული და მშვიდი მდინარე დიოდა.

დღემდე არსებულ მიწის კაშხალთა შორის, არამედ აგების არაჩვეულებრივად ახალი, მეტად თამამი ტექნიკური თავისებურებებითაც გამოირჩევა.

თავდაპირველად ამ ტექნიკური სი-ახლის შესახებ თვით ავტორები ლაპარაკობდნენ, მხოლოდ როგორც ექსპერიმენტზე, რომლის ჩაჭარბაც სასურველი იქნებოდა არა რომელიმე საკვლევ ლაბორატორიაში, არამედ ჩვეულებრივ საწარმოო პირობებში.

მაგრამ საყრდენ — ესტოკალურ სა-შუალეობათა გამოყენებლად, ამ ახალი ტექნიკური მეთოდით კაშხალის მოსიღვის პირველი შედეგები ისეთი ბრწყინვალე აღმოჩნდა, რომ მინგეჩაურის მშენებლობის ხელმძღვანელებმა ყველა ბრავდას დაავალა რათა მხოლოდ და მხოლოდ ამ მეთოდით მოეხილათ ჯებირი.

მშენებლები ორმაგად მოგებულნი აღმოჩნდნენ. მათ მოიგეს დრო, რაც ესოდენ ძვირფასია და ხშირად არ ჰყოფნით ხოლმე მშენებლებს, და ათეული მილიონი მანეთიც დაზოგეს.

ძველი მეთოდით კაშხალის აგებას არანაკლებ 20.000 კუბომეტრი ზე-

ტყე დასჭირდებოდა და ეს მასალა სა-მუდამოდ უნდა ჩაიკრულიყო ჯებირის კედლებში. გარდა ამისა, კიდევ ნახევარი წლით უნდა გახანგრძლივებულიყო მრავალი ასეული ხელმძღვანელების შრომა.

ხოლო ამ ახალი ნოვატორული მშენებ-ჩაურული მეთოდის გამოყენებისას საკმარისი აღმოჩნდა მხოლოდ მილეთის ჩამწყობი ხუთი ამწევი მანქანისა და თორმეტი მუშის შრომა, და ისინი ყოველდღიურად 22 ათასამდე კუბომეტრს უმატებდნენ კაშხალს.

მინგეჩაურის მშენებლობის უფროსი ისლამ მამედის-ძე ისლამ ზადე დაუფარავი კმაყოფილების გრძნობით წარმოთქვამს იმ ადამიანთა სახელებს, რომლებმაც მანსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ამ შესანიშნავი მაღალ-წნევიანი მოსილული კაშხალის შექმნისას, რომლის ბადალი არც ჩვენში და არც საზღვარგარეთ არ მოიპოვება. ესენი არიან: ახალგაზრდა ინჟინერი ნიკოლოზ ლოპატინი, ყოფილი კოლმეურნე-ბრიგადირი ახმედ მამედოვი, მოსილავი მაგერამ აბდულაევი, ინჟინრები: ვლადიმერ პლატონოვა, ავდეი ზვონცოვი, ვალენტინა ნორაკიძე.

როცა მზიან დღეებში მთებში თოვლი დადნება და მტკვრის ამღვრული წყალი შხუილით წამოვა, როცა აქაფებული მდინარე მოდიდდება და თავაშევებული გამოქანდება, ახალი წესით მოსილული კაშხალი აღიდებულ მდინარეს გზას გადაუღობავს და ბოზდაგის მთის ძირში, ხეობაში დააგუბებს.

მშენებლებს ბეტონის საცობებით უნდა დაეხმოთ მომავალ ზღვის ფსკერზე დატანებული ზვრელები, რათა მომდინარე წყლებს ამოევსოთ უდიდესი მოცულობის გიგანტური ზღვის სასმისი, რომლის სარკოვანი ზედაპირი თავისი სიდიდით რამდენიმეჯერ აღემატება ყველასთვის ცნობილ მოსკოვის ზღვის ზედაპირს.

ბეტონის საცობებით ფსკერსადენების ამოვსებაში თითქოს არაჩვეულებრივი არაფერია. განა ამ რამდენიმე წლის წინათ დნებრომშენის აღმდგენელებიც ამასვე არ აკეთებდნენ? მაგრამ აი, ესაუბრეთ მინგეჩაურის მშენებლობის ერთ-ერთ ვეტერანს კომუნისტ ივანე კობზარს, ან და კოპკე-შირელ ოსტატ ხანლარ ჩელაბიევის და თქვენ დარწმუნდებით, თუ ეს ყოველდღიური მოვალეობა და ჩვეულებრივი მუშაობა რაოდენ ჭეშმარიტ გმირობას მოითხოვს.

დავიწყეთ თუნდაც მასშტაბებით... აქ ყველაფერი დიდი ზომისაა. რკინა-ბეტონის ნაგებობანი მრავალსართულიანი სახლის სიმაღლისაა, ფსკერის მიღები კი იმოდენაა, რომ მათ შიგნით კონვეიერები განუწყვეტლად მუშაობენ.

ამ სამუშაო უბანზე მოსახვედრად ადამიანი თავბრუსდამხვევი სიმაღლიდან დაბლა ღრმად უნდა ჩაეშვას, სადაც მას გამჭვინავრებული მტკვრის ტალღები ასველებენ.

სამუშაოთა თუნდ რამდენიმე საათი მოცდენა-დყოფნებაც კი ამ ღროს მთელი წლის დაკარგავს ნიშნავს, რადგან მილიარდ კუბომეტრ ნიაღვრის წყლებს მტკვარი საგუბრის ნაცვლად ზღვისკენ გააქანებს.

დ. გაბიტაშვილი. ცოდნის წყურვილი. საქართველოს მხატვრების 1953 წ. ნამუშევართა რესპუბლიკური გამოცემა.



...და განა ასეთ ვითარებაში შეიძლება ჩივილი რაიმე სიძნელეებზე, ან უგუნებობაზე, განა შეიძლება ექიმის რჩევასთვის ყურის დაგდება.

ერთხელ ხანლარ ჩელაბიევი დაუსხლტა ფეხი და დაცემისას მკლავი დაუშავდა. იგი, რასაკვირველია, საავადმყოფოში დააწვინეს და ავადმყოფობის ფურცელიც შეუვსეს. მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ ხანლარი ისევ საძირე მიღებთან ფუსფუსებდა, ხოლო ავადმყოფობის ფურცელი სახსოვრად დარჩა... ოდესმე ხანშესული ხანლარი, ალბათ, შვილიშვილებს უამბობს ამ შემთხვევის შესახებ.

საძირე მიღები მაინც დროზე იქნა დახშული და დაიწყო ზღვის ავსება. პირველი ტურბინების გაშვებამდე და სახალხო ზეიმის დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე ქარი ამოვარდა. თერთად აქაფებული ზღვის ტალღები ზათქითა და ხმაურით ეხეთქებოდნენ კაშხალის კედლებს. მეზღვაურებმა დრო იხელთეს და სამგზავრო კატერი ჩაუშვეს ზღვაში.

უამრავი ხალხი გაეშურა წყალშიღლების მოედნისაკენ, რათა მაღლიდან დამტკბარიყვნენ მათი ხელით შექმნილი ზღვის ცქერით.

სადღაც შორს, ცის დასავალზე, რაღაც კუნძულის მსგავსი მოჩანდა. ეს წყალში ჩაძირული სამუხის ტყის ხის კენწეროები ირხეოდა.

„ჰიდრომექანიზაციის“ მთავარი ინჟინერი ვალენტინა ნორაკიძე ხელში აყვანილი თავისი პატარა გოგონათი მოსულიყო ამ ზეიმზე. ეს ტანადი და მორიდებული ინჟინერი-ქალი მინგეჩაურელ ინჟინერებს მეთაურობს. აქ, ჩვენი ქვეყნის ამ ყველაზე ახალგაზრდა ზღვის მშენებლობაზე შევიდა იგი კომუნისტური პარტიის რიგებში. აქ შექმნა ოჯახი და აქვე ამჟამად იგი თავის პირველ სამეცნიერო შრომას —

საკანდიდატო დისერტაციას. სხვათაშორის ვალენტინა უკვე ლაპარაკობს თავისი მომავალი გეგმების შესახებ. მოათავებს რა მინგეჩაურის მშენებლობას, — სხვა მექანიზატორებთან ერთად, იგი სტალინგრადში გაემგზავრე-

ბის უფროსმა კიდევ ერთი სახელოვანი ქართველი ქალიშვილი გაგვაცნო.

— დღეს, ჩვენ, — სთქვა ისლამ ზადემ, — მაღლობას ვუცხადებთ ლენინგრადელ ინჟინერ მარია ნოვი-

ჰიდროტექნიკურ ნაგებობებში საარმატურო ფერმების გამოყენების ნოვატორული მეთოდი“ მინგეჩაურის ჰიდრონაგებობით არის ნაკარნახევი.

მიტინგს მხოლოდ ახალგაზრდა კომკავშირელი ინჟინერი ჩხეიძე ვერ დაესწრო. გულდასაწყვეტია როცა ასეთ სახალხო ზეიმში მონაწილეობას ვერ მიიღებ, მაგრამ მიხეილის ბედს მაინც ბევრი შენატროდა... მიხთვის სამმართველო პულტთან მორიგეობა და პირველი ტურბინების გაშვება დაევალებინათ. საზეიმო მრავალ მთებს იქით გადასცეს დამორჩილებული მდინარის დიდი ძალა. ეს ძალა უკვე ამოქმედებს ბაქოს და კიროვობადის ფაბრიკებს, ამოძრავებს სუმგაიტის ფოლადსაგლინავ დაზგებს, ანათებს კოლმეურნეთა ბინებს.

ამ პირველი რიგის მშენებლობის გვერდით, მინგეჩაურის ზღვიდან ოდნავ მოშორებით სამგორის მშენებლობაზე სახელმწიფოეკილი „საქ. ჰიდროენერგომშენის“ მშენებლები მუშაობენ. ბოზ-დაგის გრანიტოვან ფენებში მათ უკვე გაჰყავთ გვირაბი, რომლითაც ზღვის წყალი მტკვარ-არაქსის დაბლობს მორწყავს, ნახევარი გვირაბი უკვე გაყვანილია, მაგრამ პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილება, ჩვენს ქვეყანაში უახლოეს წლებში პროდუქტების სიუხვის შექმნის შესახებ, — მშენებლებს უკარნახებს კიდევ უფრო დააჩქარონ მუშაობა. ოცდასამი სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელმა, მრავალი რესპუბლიკისა და მხარის მცხოვრებლებმა დაიდეს წილი აწერბიჯანელი ხალხის საუკუნოვან ოცნების განხორციელებაში. თვალუწვდენელი სამშობლო ყველაფერს აძლევდა და აძლევს მინგეჩაურის მშენებლებს. ხუთასზე მეტი სამრეწველო წარმოება მუშაობს მშენებლობის შეკვეთების შესრულებაზე. ლენინგრადელები მათ ამარაგებენ ამწეებით, მოსკოველები — მძლავრი ტრანსფორმატორებით, უკრაინელები — ელექტრო-აპარატურით, ფოლადის მავთულებითა და ექსკავატორებით, ურალელები — ლითონითა და მოსიარულე ექსკავატორებით. საქართველო — თვითდამცლელი ავტომობილებით, სომხეთი — ტუფითა და კაბელით, კარელია-ფინეთის რესპუბლიკა — ხე-ტყის მასალით და ასაწყობი სახლებით.

დღევანდელი მინგეჩაურის ზღვა. მისმა პირველმა ტურბინებმა უკვე მისცეს სამშობლოს მაღალი ძაბვის დენი. ახლა ერთ დღეში იმდენი უნდა გაკეთდეს, რამდენიც წინათ დღენახევარს და ორ დღეს კეთდებოდა. მიმდინარე წელს მინგეჩაურის ზღვის წყალი უნდა შევიდეს ზემო ყარაბახის არხში, რათა მზით გადარუჯულ, ნახევრად უდაბურ ადგილებში ჯეჯილი აბიბინდეს და ბამბამ იყვავილოს. სარწყავი არხები, რომლებიც სათავეს მინგეჩაურის ზღვიდან მიიღებენ, მორწყვენ მილიონზე მეტ პექტარ უნაყოფო მიწებს. ამ არხების საერთო სიგრძე ეკატორის გარშემო სამჯერ შემოსწვდება დედამიწას. მთებიდან ბარში დაეშვებიან ბარაქიან მიწას დანატრული მთიელები. ამ ახალ მოსახლეთათვის აშენდება ალვის ხეივანებში ჩამალული კეთილმოწყობილი სახლები.

## ბონდო კოვლაჟა

### უხნობ ქალს


წარმტაცია  
სახე შენი,  
აშოლტილი ტანი.  
ხშირი წამწამები  
გშვენის,  
ყელზე  
შავი ხალი.  
შორით გიცნობ,  
ხშირად გხვდები.  
ასე გადის ხანი.  
მეკრძალება,  
გერიდები,  
ველარ გაგიცანი.  
გატყობ თავს რომ  
ეფერები.  
აკეკლუცებ,  
უვლი.  
გარეგნობის  
შესაფერი  
ქალო!  
თუ გაქვს  
გული.

ბა ვოლგაზე ერთ-ერთი უდიდესი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაში მონაწილეობის მისაღებად. მეორე დღეს საზეიმო მიტინგზე მშენებლო-

კოვას, მოსკოველ არქიტექტორ თამარ გორბაჩევას და ქართველ ქალიშვილს მინგეჩაურის საქალაქო საბჭოს დეპუტატს ელინე მანჯავიძეს. მიტინგის სხვა მონაწილეებთან ერთად, ისლამ ზადეს მისალმების ამ სიტყვებს მქუხარე ტაშით შეხვდნენ თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში აღზრდილი ოცი ქართველი ინჟინერი. მათ შორის იყო კომუნისტი გრიგოლ გიორგაძე, რომელიც ყველაზე პასუხსაგებ უბნის მუშაობას ხელმძღვანელობს მინგეჩაურში; აქვე იყვნენ დავით კუხიანიძე — მთავარი ენერგეტიკული განყოფილების უფროსი ინჟინერი, საკარგირო სამუშაოთა უფროსი მწარმოებელი კომკავშირელი შოთა მაჩაბელი, წყალსადენის გაყვანისას სახელგანთქმული ანთიმოზ ჩარგაზია და ჰიდროელექტროსადგურის მშენებელი კომკავშირელი იოსებ ხურცილაძე. და თუმცა ეს თარიღების უბრალო დამთხვევა იყო, მაინც საგანგებოდ აღინიშნა, რომ ტურბინების გაშვების წინააღმდეგ პარტიის რიგებში მიიღეს ბათუმის სადგურის მემანათის შვილი — მშენებლობის საპროექტო ჯგუფის უფროსი ინჟინერი ჭოლა თარგამაძე. მან მინგეჩაურის ზღვის მშენებლობაზე მუშაობისას დაუსწრებლად დაამთავრა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამშენებლო ინსტიტუტის ასპირანტურა, ჩააბარა საკანდიდატო მინიმუმი და ახლა დისერტაციის დასაცავად ემზადება. ეს სამეცნიერო შრომა მშენებლობის მდიდარ მასალაზეა აგებული და მისი თემა: „მინგეჩაურის

მორიგე ნ. დ. სინეგბსკი ჰესის მართვის ფართან და ჰესის ერთ-ერთი საუკეთესო ინჟინერი ლ. ა. შავლაყაძე

ფოტო ა. ჩარნინკოსი





# ნიკოლოზ ბარათაშვილი

მიხილ მკაულინი

პროლოგი\*

მოძველი პირნი:

1. ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანი — ამხანად 40 წლისა.

2. ილია ჭავჭავაძე — სტუდენტი — ამხანად 21 წლისა.

1858 წლის ზაფხული. პეტერბურგი. ცარსკოე სელო. ეკატერინე დადიანის ბინა. ღია ფანჯარაში მოჩანს ცარსკოე სელოს სასახლის ბაღის ნაწილი. საღამოსანია. ფანჯარის ახლო, ზვერდგადაფარებულ მრგვალ მაგიდასთან ღრმა სავარძელში ზის ეკატერინე ჭავჭავაძე, მის დედოფელურ სილამაზეს ჯერ კიდევ ჭკნობა არ შეჰპარვია. მაგიდის გასწვრივ ცარიელ სავარძელთან დგას ახალგაზრდა ილია ჭავჭავაძე. მაგიდაზე დგას ჩინური ოსტატობით მოჩუქურთმებული ლამაზი ყუთი, ფანჯარაში ფარდებიდან შემოპარული მზის სხივი დანათის ყუთს და უცხოელ აელვარებს მას.



**ეკატერინე** — სიამოვნებით მოვისმინე ამას წინათ თქვენი ქება, ილია ჩემო! სასიხარულოდ მიმაჩნია, რომ კალამი ჭავჭავაძეთა საიმედო ხელთა ყოფილა.

**ილია** — (დახრის თავს) ეს მხოლოდ ცდაა, დედოფალო, მხოლოდ სურვილი, საყვარელ მამულს ვემსახურო შეძლებისამებრ.

**ეკატერინე** — რა სათქმელია, საქართველოს ქვეშაირტად სჭირდება დღეს განსწავლული ახალგაზრდობა, მერწუნე, მუდამ გულს აამებს თქვენი ქება, თქვენი დიდება (მიუთითებს თავისუფალ სავარძელზე).

**ილია** — (ჯდება) მართალსა ბრძანებთ, დედოფალო, თუ წარსული ჩვენი ქვეყნისა გვარამა და ხმალმა შეიწირა, დღეს აზრმა უნდა გაუკაფოს ნათელი გზა ქვეყნის მომავალს, რათა აზრი ზორცემსმული საკეთილდღეო საქმედ იქცეს მამულისათვის. ეს შთამაგონა მამაჩემმა, რომელიც მუდამ სწავლისაკენ მოუწოდებდა თავის შვილებს.

**ეკატერინე** — მე კარგად მახსოვს მამათქვენი, პატივცემული თავადი გრიგოლ ჭავჭავაძე. განსვენებული მაჩამემი დიდი პატივით იხსენებდა ახალციხის ომების გმირს.

**ილია** — (თავდაბლა) განათლებული კაცი იყო თავის დროისთვის, თავისი ქვეყნის მოყვარული, ოჯახის და შვილების შემწე, ეგ არის რომ, გამუდმებულმა ომებმა და შიშინობამ დაგვიქვეითა ოჯახი და ჯანგატეხილი მაჩამემიც უდროთ დროს გამოასალმა წუთისოფელს.

**ეკატერინე** — (ნადვლიანად) ჩვენი ოჯახის სამწუხაროდ, აკი თქვენი ძმა კონსტანტინე ლეკებთან ბრძოლამ შეიწირა. როგორცა მწერდნენ იმ ზანებში, კონსტანტინე, წინააღმდეგ ლეკების მიერ გატაცებულ ჩემი ძმის ცოლ-შვილს დაედევნა დასახმარებლად და ამ ბრძოლაში დაიღუპა.

**ილია** — საუბედუროდ ეგ ამბავი ჩემი უფროსი ძმის დაღუპვის სახაბი ვახდა.

**ეკატერინე** — ჩვენ არ ძალგვიძს, ილია ჩემო, სამწუხაროდ, ეგ მსხვერპლი ვზღაოთ.

**ილია** — (შეწუხებული) რასა ბრძანებთ, რა სათქმელია... თქვენ კი არა, დრომ შეიწირა ჩვენი ერის უკეთესი შთამომავლობა, ქართველობა ამ ბრძოლაში ეძებდა ხსნას.

**ეკატერინე** — და რომ რუსეთის ხელი არა, ალბათ, ის მსხვერპლიც საკმარისი არ იქნებოდა, მწირთა უღაბნოდ იქცეოდა ჩვენი ქვეყანა.

**ილია** — მოგესხენებათ... ძველთაგანვე არა სცხრებოდა ოსმალეთი, სპარსეთი და ახალციხის ფაშებისაგან წაქეზებული დაღესტანი — სისხლისაგან იწრეტებოდა ქანცმილეული საქართველო. ერი იბრძოდა და წყდებოდა შეუბრალებლად.

**ეკატერინე** — (ფიქრს მიცემული) გულს ახარებს თქვენი მსჯელობა... მე მაგონდება ის დღეები, როცა ამ კითხვებს არა ერთგვის წარუტაცინათ ფიქრი ჩვენი ყმაწვილკაცობის. (თვალეებს დახუჭავს) სთქვით... კიდევ სთქვით...

**ილია** — (აღზნებით) მოგახსენებთ... ერეკლე მეფემ კარგად იგრძნო აღსასრულის მოახლოება და დარიალის კარი შეხსნა. მართალია რუსთა კალთებ ქვეშ შეფარებამ კიდევ უფრო გააგულისა ჩვენი მტრები, განხეთქილება ჩამოაგდო თვისტომთა შორის, უდიერი მოხელეების სათარეშო ასპარეზად გადაგვაქცია, მაგრამ მაინც ხალხის ღრმადი ერთმორწმუნე რუსეთისადმი ვერ ჩაახშო.

**ეკატერინე** — (თითქო უნებლიეთ ხელს დაადებს ჩინურ ყუთს. მზე ჩადის.)

**ილია** — (განაგრძობს იმავე აღზნებით) დღეს ჩვენ ვრწმუნდებით წინაპართ მიერ დათესილ ამ ბრძნულ საქმის სიკეთეში. რუსთა მხედრობით დამარცხებული მტერი გმინავს. გათავდა რბევა და აკლება. გაპქრა ცეცხლი რომელიც სწავდა და ბუგავდა მამა-პაპათა მონაპოვარს. საქართველომ, მგონი, პირველად ჩააგო დღეს სამი ათასი წლის მანძილზე მოელვარე ხმალი ქარქაშში. დადგა უამი იარათა მოშუშებისა, დაფანტულ აზრთა მოკრევისა, სწავლისა და განათლებისა. ჩრდილოეთიდან მოვლენილმა მშვიდობის შუქმა (ეკატერინე შეირჩევა) დიდი რუსეთის საუკეთესო შვილთა აზრებს დაგვაზიარა. მოსიყვარულე მეგობრები გამოგვიჩინა. ვავისხენოთ, თუ გნებავთ, მართო თქვენი სიძე, ალექსანდრე სერგეის-ძე გრიბოედოვი. ამ მეგობართა სიყვარულმა, მათმა აზრმა, მათმა ოცნებამ, რწმენა დაბადა საუკეთესო მომავლისა. მაგრამ რაოდენ ძნელი იყო გზა მშვიდობისა, ამას თქვენც უწყით, დედოფალო.

**ეკატერინე** — (მოკონებაში. თითქო თავისთვის) მართალია... აწ არაა ერჩის ქართლის გულსა კასპიის ღელვა.

**ილია** — (განცვიფრებული) რა მიბრძანეთ?

**ეკატერინე** — (გონთ მოსული) არაფერი... თქვენმა სიტყვებმა წარსულ დღეთ მოგონება გადამიფურცლეს. (პაუზა. შეხედავს ილიას. დღლავს) ილია ჩემო, თქვენ თუ იცნობთ ბარათაშვილის ლექსთა კრებულს?

**ილია** — (დაინტერესებული) აქ, პეტერბურგში თავმოყრილი ჩვენი, ქართველი სტუდენტობა ვიცნობთ ლექსებს, რაც კი ცისკარში დაისტამბა, მაგალითად „სული ბოროტო“ შედევრია პოეზიისა. კრებულზე კი არაფერი არა გვსმენია.

**ეკატერინე** — მამ პოემა „ბედი ქართლისა“ ან ლექსები „ფიქრი მტკვრის პირას“, „შემოღამება მთაწმინდაზე“, „მერანი“ და „გზოვე ტაძარი, შესაფარი, უღაბნოდ მდგარი“ არ ვაგვიტახავთ?

**ილია** — (აღვლევებული წამოიწევს) პირველად მესმის... ამისგინთ ღვთის გულისათვის...

**ეკატერინე** — (ათრთოლებული თითებით მოიხსნის გულიდან პატარა გასაღებს, გადაწვდება ყუთს, გახსნის, ამოიღებს პატარა რვეულს, დახედავს. მიიტანს გულთან!) ეს რვეული ჩემი ყრბობის, ჩემი განვლილი ცხოვრების გზის განუყრელი მეგობარია. მე მას ვეტრფოდი, ვინახავდი, როგორც ძვირფას, უცხო რამ ვანძს.

**ილია** — (უნებლიეთ გაუწვდის ორივე ხელს ხვეწნით) დედოფალო, მოიღეთ თქვენი მოწყალება!

**ეკატერინე** — ჩემო შვილო, მე შენში ვხედავ საქართველოს ღირსეულ შვილს, ერის გულის მესაიდუმლეს. შენთან ბაასში დღეს ვიგრძენი, რომ ეს რვეული ხალხს ეკუთვნის. წაიღე იგი, უპატრონე, დაუბრუნე შთამომავლობას. (გაუწვდის რვეულს).

**ილია** — (მიუახლოვდება. მოწიწებით ხელზე ემთხვევა. ჩამოართმევს რვეულს. დაუბრუნდება სავარძელს. ფურცლავს რვეულს მოუთმენლად. აღტაცებული) „ბედი ქართლისა“.

**ეკატერინე** — (ღრმად ჩაფიქრებული) წედან ბაასში შენ ახსენე თუ რაოდენად მძიმე იყო მამულისათვის მშვიდობის გზა. იქნებ ამ გზების ძიებამ და ამ ძიების სიღუბნირემ შეუშოკლა ყარბ მგოსანს ცხოვრების გზაც.

**ილია** — (არ უსმენს ეკატერინეს. ფურცლავს რვეულს. აღფრთოვანებული) „მერანი“

**ეკატერინე** — (გაყუარებს ბაღს. განაგრძობს ხამალა ფიქრს. თანდათან ღამდება) იქნება ჩვენმა გულცივობამ იმსხვერპლა ის, იქნებ დაჩრდილა ძლიერება მისი სიტყვისა ოქროს ამბარჩის მოჩვენებითმა სხივთა კრთობამ...

**ილია** — (ფურცლავს რვეულს. ბნელდება).



\* პროლოგი დაწერილია სუხუმის სახელმწიფო თეატრისათვის, იგი არ არის შეტანილი არც წიგნში და არც რუსთაველის სახელობისა და ბათუმის სახელმწიფო თეატრების მიერ განხორციელებულ დადგმებში. (ავტორი)





უკრაინის სსრ გენიჩესკის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარის მოადგილის ს. სლოშკინა (მარჯვნივ) და მახარაძის რაიონის სოფ. შრომის ორგანიზაციის სახელობის კოლმეურნეობის წევრის ე. მუჟანაძის გულთადი შეხვედრა.

ფოტო გ. ვახტანგაძისა და ვლ. გინზბურგისა

და ორმოც-ჩვიდმეტს ბრუსის კოროლს შეეურყიეთ ტახტის სვეტი!

# უკრაინელი კ ქართველი ხალხის მეგობრობა

ღმიგრო კოსარიკი

უკრაინის რუსეთთან შეერთების 300 წლისთავის საყოველთაო სახალხო დღესასწაული კიდევ უფრო აღრმავეს და ანვითარებს საბჭოთა ადამიანის პატრიოტულ გრძნობებს.

ღმდმა რუსეთმა ხალხთა ამ მეგობრული ურთიერთობის განმტკიცებასა და გაღრმავებაში გადამწყვეტი როლი შეასრულა.

...

ჩვენ აქ არ შეგვხვებოთ კიევის, რუსეთისა და ძველი საქართველოს კულტურული ურთიერთობის მეტად ვრცელ, მაგრამ მეცნიერულად ჯერ ნაკლებად შესწავლილ ფაქტურ მასალას. ჩვენ თვალს გადავავლებთ მხოლოდ იმ კავშირს, რომელიც არსებობს უკრაინისა და საქართველოს შორის დავით გურამიშვილის დროიდან. გურამიშვილის ცხოვრება უკრაინელი ხალხის ქართველ ხალხთან კავშირის ბრწყინვალე სიმბოლოა, კავშირისა, რომელიც გამოვლინდა დიდი რუსი ხალხის მეშვეობით. სწორედ რუსეთში შეაფარა თავი ლეკთა ტყვეობიდან გამოქცეულმა ოცი წლის ჭაბუკმა დავითმა, სწორედ რუსეთში, მის შუაგულში — მოსკოვში გაიფურჩქნა გურამიშვილის პოეტური ნიჭი, სწორედ აქ დაიწყო მან თავისი შემოქმედებითი ცხოვრება. ქართველ ჰუსართა პოლკმა, რომელიც ჩამოყალიბდა მოსკოვში 1738 წელს და რომელშიც ირიცხებოდა დავით გურამიშვილი მონაწილეობა მიიღო თურქეთის წინააღმდეგ იმ ბრძოლებში, რამაც უკრაინა თურქ იანიჩარებისაგან იხსნა, განაწკიცა რუსეთის სახელმწიფოს სამხრეთი საზღვრები. რუსი ჯარის ლაშქრობებსა და ბრძოლებში მონაწილე დავით გურამიშვილმა 1739 წელს ცხენით გაიარა რუსეთისა და უკრაინის მიწა-წყალი მოსკოვიდან კიევამდე, კიევიდან ხოტინამდე და უკან, მოსკოვს დაბრუნდა. ამ ლაშქრობამ ბევრი რამ ახალი შესძინა გამჭრიახ, მაღალნიჭიერ ახალგაზრდა ქართველ პოეტსა და მოაზროვნეს. სწორედ ლაშქრობათა დროს მან გაიცნო რუსი ჯარისკაცის სული, სწორედ ამ ლაშქრობებში იგი პირველად ჩაწვდა უკრაინელი კაზაკის სულსა და გულს, და სიკვდილამდე დაუკავშირდა მათ გულწრფელი ძმური სიყვარულითა და მეგობრობით. ტყუილად როდი ჩაუწერია გურამი-

შიშვილს თავის უკვდავ „დავითიანში“ საკუთარი ხელით: „Казак — душа правдивая“.

მეორე დიდმა სამხედრო ლაშქრობამ შედეგის წინააღმდეგ, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ქართველ ჰუსართა პოლკმა კიდევ უფრო ორგანულად დააკავშირა ერთმანეთთან ქართველი ხალხის შვილები რუსებთან და უკრაინელებთან.

ქართველი ჰუსარები რუსებთან და უკრაინელებთან ერთად ღვრიდნენ სისხლს ბრძოლებში. დავით გურამიშვილი პატრიოტული სიამაყით ამბობს რუსთა ჯარის ლაშქრობებზე:

ათას შვილას ოც და-ცხრამეტს ხოთინის კარს ვთხოვთ კეტით, ორმოცდაორს ფინდრიღავანს ცეცხლით გამოვბუგეთ შვეტი.

სოფ. შრომის კოლმეურნეები პურ-მარილით შეეგებენ უკრაინელ სტუმრებს.



ერთად დაღვრილ ამ სისხლს უნაყოფოდ არ ჩაუვლია. მან თავისი დიდი როლი შეასრულა რუსების უკრაინელებისა და ქართველების, ისე როგორც რუსეთის სხვა ხალხების გაერთიანების საქმეში.

ორმოცდათორმეტი წელი იცხოვრა რუსეთში დავით გურამიშვილმა მრავალ სხვა ქართველთან ერთად. დავით გურამიშვილმა არა მარტო გააცნო უკრაინელებსა და რუსებს თავისი საქართველო, იგი არა მარტო უმღეროდა უკრაინელებსა და რუსებს თავის მშობლიურ სიმღერას (ამ სიმღერებში კი მისი ხალხის სული და ისტორია იყო!), იგი არა მარტო ღრმად სწავლობდა რუსეთისა და უკრაინის ბუნებას, ყოფა-ცხოვრებას, კულტურას, მწერლობასა და სიმღერებს, არამედ, რაც მთავარია, ყველაფერი ეს მან გადმოგვცა თავის გენიალურ „დავითიანში“.

როცა იგი კვდებოდა შორს სამშობლოსაგან, თავისი „დავითიანი“ საქართველოში გადაგზავნა, როგორც მოწოდება და ანდერძი თანამემამულეებისათვის დატოვებული — ემეგობრათ და ძმური კავშირი ჰქონოდათ ქართველებს რუსეთთან და უკრაინასთან. ეს მოხდა საქართველოს რუსეთთან შეერთების წინა ხანებში.

გურამიშვილის ცხოვრებამ უკრაინაში, სადაც მან თავისი „დავითიანი“ დასწერა, ყველა მისმა მოგზაურობამ უკრაინის ქალაქებში, დაბებში და სოფლებში, მისმა მონაწილეობამ უკრაინის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, უღრმესი კვალი დატოვა უკრაინელი ხალხის გულში.

ჩვენი საბრძოლო, პოლიტიკური და მორალური დახლოების შემდგომ ეტაპებზე მნიშვნელოვანი როლი შეასრულა რუსეთის ძმურ ხალხთან მონაწილეობამ 1812 წლის სამამულო ომში. ამ ომში რუსეთის, უკრაინის, ბელორუსიისა და საქართველოს შვილები ერთსულოვნად იბრძოდნენ საერთო მტრის წინააღმდეგ.

XIX საუკუნის მანძილზე რუსეთის, უკრაინის, ბელორუსიის, საქართველოს და სხვა ეროვნებათა მშრომელები ერთი საერთო რევოლუციური დროშის ქვეშ იბრძოდნენ „შინაური თურქის“ წინააღმდეგ, როგორც ეს მეფის თვითმპყრობელურ ღესპოტიზმს დაარქვა გ. ი. ლენინმა.

ტარას შევჩენკოს შეხვედრა ქართველებთან სიმბოლიურად ასახავს რუსებისა, უკრაინელებისა და

1 აქ გურამიშვილი გვიამბობს თავის მონაწილეობას იმ ომში, რომელიც რუსეთსა ჰქონდა მეთვამეტე საუკუნეში შვეიციათა და პრუსიასთან. მაგრამ საკუთარი სახელები თავისებურად გადაუქვივია, მაგალითად, ხაცკლად ფინდრიღავანისა უნდა იყოს ფიოდრის—ჰაფენ, შვეტისა—შედი, ბრუსისა—პრუსიის.



ქართველების მრავალთა მრავალ შეხვედრას, რომლებიც ისტორიულ დოკუმენტებში არ არის აღწერილი. ამიტომაც რომ ჩვენთვის ასე ძვირფასია ძმური შეხვედრის თვითული ფაქტი, რომელმაც კი ჩვენამდე მოაღწია. როცა ასეთი ფაქტი ხელთ გვაქვს, უნდა გვახსოვდეს, რომ უკრაინელებისა და ქართველების შეხვედრა მეტწილად ხდებოდა რუსეთში, რუსი ხალხის კულტურულ ცენტრებში, პეტერბურგში, მოსკოვში, უკრაინელისა და ქართველის თვითული შეხვედრა ხდებოდა რუსეთის ისტორიულ მოვლენათა ფონზე.

1845 წელს ტარას გრიგოლის-ძე შეგჩენკო შეხვდა რუს ლიტერატორს, თავის თანამემამულეს აფანასიევიჩუბინსკის. მასთან ერთად შეგჩენკო მოგზაურობდა და ხშირად, როგორც აფანასიევიჩუბინსკი გადმოგვცემს, ტარას გრიგოლის-ძე მიმართავდა მას თხოვნით: „Ось сядь та розкажи мені про Грузію“...

და აფანასიევიჩუბინსკი კეთილსინდისიერად უამბობდა ხოლმე ყველაფერს, რაც თავისი თვლით ჰქონდა ნახული, ყველაფერს, რაც იცოდა ქართველი და კავკასიელი ხალხების ცხოვრებისა და ბრძოლის შესახებ. ამ დროს დიდი უკრაინელი პოეტის გულში ყალიბდებოდა უკვე დავი პრომეთეოსის სახე, როგორც სიმბოლო ნიკოლოზ I-ის თვითმპყრობელური დესპოტიზმის წინააღმდეგ შეუპოვრად მებრძოლ კავკასიელი ხალხისა. ტარას შეგჩენკოს ქართველი ხალხისადმი რევოლუციური თანაგრძობისა და სიმბათიებს ამ პერიოდში მხურვალედ მხარი დაუჭირეს რუსი ხალხის მოწინავე მოაზროვნეებმა და მწერლებმა.

ტ. შეგჩენკომ თავისი „კავკაზი“ დაწერა 1845 წ. ქ. პერეიასლავში, სადაც უკრაინელმა ხალხმა პერეიასლავის რადაზე ფიცად დალო რუსი ხალხისადმი სამარადისო ერთგულებასა და ძმობაზე.

პოემა „კავკაზი“, რომელიც დაბეჭდილი იყო რუსი რევოლუციონერების მიერ ლაიპციგში 1859 წელს, არალეგალურ სტამბაში და გამოცემული პუშკინის ნაწარმოებებთან ერთად ერთ წიგნში, წაითხულ იქნა საქართველოშიც.

პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტთა კოლონია, რომელშიც შედიოდნენ ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, დიმიტრი ყუფიაანი, გამომხატველი იყო უკრაინელი პოეტისადმი ქართველი ხალხის სიმბათიისა. როცა ათი წლის კატორღისა და გადასახლებისგან განთავისუფლებული პოლიტიკური მოღვაწე ტარას შეგჩენკო პეტერბურგში პასაჟის დარბაზის სცენაზე გამოვიდა, პეტერბურგის მთელი მოწინავე საზოგადოება აღტაცებით მიეგება და მიესალმა მას, როგორც ყველა ჩაგრული მშობლივითა განთავისუფლებისათვის მებრძოლსა და წამებულს. ამ შეხვედრას ეწვრიებოდა ქართველ სტუდენტთა კოლონიაც. დ. ყუფიაანმა შთამომავლობას დაუტოვა ამ შეხვედრის შესახებ წერილობითი საბუთი. მან საქართველოში გამოგზავნა წერილი, რომელშიც წერია:

„ამ სამი დღის წინათ ვიყავი ლიტერატორთა საჯარო კითხვაზე პასაჟში. კითხულობდნენ: ბენედიქტოვი — შესანიშნავად, პოლინსკი — კარგად, მაიკოვი — შესანიშნავად, დოსტოევსკი, პისემსკი — არა უშავდა, შეგჩენკო კი, მალოროსის პოეტი და მხატვარი — ბრწყინვალედ. დარბაზში ტევა არ იყო.“

პეტერბურგშივე მოხდა ტარას შეგჩენკოსი და აკაკი წერეთლის შეხვედრა. მათი საუბარი ნაშუალამევაზე გავრცელდა. ამ ისტორიულ საღამოს შეგჩენკომ პირველად გაიკო მთელი სიმართლე ქართველი ხალხის შესახებ, მისი ისტორიული წარსულისა და აწმყოს შესახებ, მისი ბრძოლისა და ცხოვრების შესახებ. სწორედ ამ ღირსსებასთან საღამოდან, როგორც შემდეგში აკაკი წერეთელი ამბობდა, საქართველოს ახალგაზრდა წარმომადგენლებმა თავისი ხალხისადმი ერთგულებისა და მისი კეთილდღეობისათვის თავდადებული ბრძოლის მისამამ მაგალითად რევოლუციონერ-დემოკრატ ტარას შეგჩენკოს ცხოვრება და ბრძოლა გაიხადეს.

სწორედ მაშინ ტარას შეგჩენკომ ქართველი პოეტისაგან პირველად მოისმინა გენიალური შოთა რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსანი“.

ტარას შეგჩენკოს თანამებრძოლები, რომლებიც მასთან ერთად გაერთიანებულნი იყვნენ „კირილე და მეთოდეს ძმობაში“, კავკასიისა და ამიერკავკასიაში გადასახლებულნი, ძმური სიყვარულით ეპყრობოდნენ პრომეთეოსის მებრძოლ შთამომავლობას. შეგჩენკოს „კავკაზის“ სულისკვეთებით აღზრდილმა უკრაინელებმა, როგორც კი ისინი საქართველოში მოხვდნენ, შეიყვარეს ქართული კულტურა, მისი ლიტერატურა და ბევრთად შეუდგნენ ქართული ენის შესწავლას. განსაკუთრებით თავი გამოიჩინა ამ მხრივ შეგჩენკოს უმცროსმა ამხანაგმა, პოეტმა და პომეროსის მთარგმნელმა უკრაინულ ენაზე, ალექსანდრე ნავროცკიმ, რომელიც გადმოსახლებული იყო საქართველოში. 1870 წელს მან უკრაინულ ენაზე გადათარგმნა „ვეფხისტყაოსანი“. ეს იყო საერთოდ პირველი თარგმანი ამ გენიალური ნაწარმოებისა უცხო ენაზე.

სოფ. შრომის ორჯონიკის სახელობის კოლმეურნეობის ჩაის პლანტაციაზე. სოციალისტური შრომის გმირი კოლმეურნე ა. კუბუსიძე (ცენტრში) ესაუბრება კოლმეურნეებს ჯ. ნურსინას (მარცხნივ) და ა. სორაკას.



ქართველი და უკრაინელი ინტელიგენტების დაახლოება მეტწილად რუსეთში და რუსული ენის, რუსული ლიტერატურის შემწეობით ხდებოდა. მათი ურთიერთ კავშირი ფესვებს იდგამდა და ძლიერდებოდა რუსეთის პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლის ქარცხელში. რუსეთის ფაბრიკებსა და ქარხნებში, რუსის ჯარის რიგებში, რუსეთის უნივერსიტეტებში, რუსეთის, უკრაინის, საქართველოს ქალაქებში აღმართულ ბარაკებზე, კატორღასა და გადასახლებაში ხვდებოდნენ, ეცნობოდნენ და უმეგობრდებოდნენ ერთმანეთს უკრაინელი ქართველს, ქართველი რუსსა და უკრაინელს.

წინარევოლუციური პერიოდის ქართული ლიტერატურის მრავალი მოღვაწე სწავლობდა პეტერბურგში, მოსკოვში, ხარკოვში, ოდესაში. აქ ისინი არა მარტო ეცნობოდნენ მოძმე ხალხის ისტორიას, ყოფა-ცხოვრებას, სიტყვიერებას, მეცნიერებას, სიმღერებს, არამედ ყოველი მათგანი ამასთანვე ცდილობდა ყველაფერი, რაც კი რამ კარგი იყო, გადაეცა მშობლიური ხალხისათვის, გადაეთარგმნა მშობლიურ ენაზე. ამრიგად თორივე მხრივ იყვებოდა და მდიდრდებოდა ეროვნული კულტურის საგანძური.

ქართული ლიტერატურის კლასიკოსმა ნიკოლოზმა, რომელიც კიევიში სწავლობდა, პირველმა თარგმნა ქართულად ტარას შეგჩენკოს პოემა „ნაიმიჩკა“. შეგჩენკოს ნაწარმოებთა გავრცელებისა და მისი სიტყვის პოპულარიზაციის საქმეში თვალსაჩინო როლი შეასრულა ქუთაისის გიმნაზიის მასწავლებელმა ალექსანდრე გარსევანიშვილმა, რომელმაც საქართველოს ინტელიგენციას გააცნო შეგჩენკოს „კობზარი“.

უკრაინაში ჩადიდდნენ და ხარკოვისა და პოლტავის საზოგადოებაში მისვლა-მოსვლა ჰქონდათ საქართველოს გამოჩენილ შვილებს ილია ჭავჭავაძეს და აკაკი წერეთელს.

უკრაინული თეატრის მოღვაწეებს, რომლებსაც მეფის სატრაპები მთელი რუსეთის იმპერიაში სდევნიდნენ, რომლებსაც არ გააჩნდათ ერთი გარკვეული, მკვიდრი ადგილი თავისი სპექტაკლებისათვის და მთელი თავისი სიცოცხლე გამუდმებით მოგზაურობდნენ ერთი ქალაქიდან მეორეში, ყოველთვის გულთბილად ეგებებოდნენ საქართველოს ქალაქებში და, განსაკუთრებით, თბილისში. მ. ლ. კროპივნიცი, მ. პ. სტარინი, დრამატურგი და მსახიობი ი. კ. კარპენკო-კარი, მისი ძმები — სალოვსკი და საკსაგანსკი, გენიალური მარია ზანკოვეცკაია ცნობილი იყვნენ საქართველოში ჯერ კიდევ გასული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში. როგორც შალვა დადიანი ადასტურებს, მისი თაობა ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში იცნობდა უკრაინულ თეატრს და უყვარდა ის. ზანკოვეცკაიამ, შ. დადიანის გადმოცემით, „მონადირა საქართველოს მთელი თეატრალური საზოგადოების გული“. უკრაინული თეატრების მოღვაწეობა საქართველოში საგრძნობლად დიდ ადგილს დაიკავეს მძურ ეროვნულ კულტურათა შემოქმედებითი ურთიერთობის ისტორიაში. ეს გრცელი და მადლიერი თემაც არ არის ჯერჯერობით მთლიანად შესწავლილი ისტორიკოსების მიერ. რევოლუციური გაზუთები, რომლებსაც ამხანაგ სტალინის თანამებრძოლები ხელმძღვანელობდნენ, თავის ფურცლებზე ყოველთვის იცავდნენ უკრაინულ მსახიობებს.

და თითქმის უკრაინული თეატრის საქართველოში ჩამოსვლის პასუხად, მოსკოვის სამხატვრო თეატრის შემოქმედელ კოლექტივთან უკრაინის სცენაზე მოვიდა სახელგანთქმული რეჟისორი კოტე მარჯუანიშვილი. მისი მოღვაწეობა უკრაინულ თეატრში ოქროს

ფურცლად შევიდა თეატრის ისტორიაში. განსაკუთრებით თეატრის იმ დღეების ისტორიაში, როცა უკრაინული თეატრი შეუდგა რევოლუციური მუშების, გლეხებისა და ჯარისკაცების უშუალო მომსახურებას.

უკრაინული ლიტერატურის, მეცნიერებისა და ხელოვნების ყველა გამოჩენილ მოღვაწეს თავის შემოქმედებით ბიოგრაფიაში მოეპოვება იმის ფაქტი, თუ რა კეთილნაყოფიერი გავლენა მოახდინა მასზე ქართულმა კულტურამ. მიხაილო სტარინსკის, ივან ფრანკოს, პანას მირნის, მიხაილო კოციუბინსკის, სტეპან ვასილჩენკოს და, მეტადრე, ლესია უკრაინკას სულიერი ცხოვრების ზრდასა და განვითარებაში უდიდესი როლი შესრულა საქართველოს ლიტერატურულ წრეებთან მათმა მჭიდრო კავშირმა. ამ მიმართულებით მათ მუშაობას სტიმულს აძლევდა მოვლენათა მსვლელობა. საქართველოში ვითარდებოდა აქტიური რევოლუციური ბრძოლა. „საქართველო ყოველთვის გამოირჩეოდა მეფის თვითმპყრობლობის წინააღმდეგ ხალხის საქმისათვის ბრძოლაში“, — ამბობდა მ. ი. კალინინი.

ივან ფრანკო თავის ჟურნალში „ЖИТТЯ і СЛОВО“ წერდა რევოლუციური ბრძოლის მიმდინარეობის შესახებ მთელს რუსეთში და მოუწოდებდა დასავლეთ უკრაინის ახალგაზრდობას გადმოელო რევოლუციური ბრძოლის მაგალითი საქართველოს რევოლუციონერებისგან.

პანას მირნის, რომელიც მირგოროდში დაიბადა, ახალგაზრდობიდანვე აინტერესებდა საქართველო. რაც შეეხება იმ ქართველებს, რომლებიც მირგოროდში ცხოვრობდნენ, პანას მირნი გამოირჩეოდა მიუდგაპროგრესულ დემოკრატიულ ნაწილს იგი სამუდამოდ დაუკავშირდა, განსაკუთრებით მტკიცედ დაუმეგობრდა თავის ამხანაგს ოდიშელიძეს. ამავე დროს მტრულად იყო განწყობილი ქართველთა კოლონიის იმ უმცირესობის მიმართ, რომელსაც ეკუთვნოდა მემამულე რატიევი.

რევოლუციონერ-დემოკრატმა პავლო გრაბოვსკიმ, როცა იგი გადასახლებაში იყო ციმბირის ტაიგაში, მრავალი მოძმე ხალხის ენა და ლიტერატურა შეისწავლა. იგი უკრაინულად თარგმნიდა ქართული პოეზიის კლასიკოსების ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის ნაწარმოებებს, ამ თარგმანებს ციმბირიდან კიევისა და ლეოვში აგზავნიდა, პროპაგანდას უწევდა მათ ნაწარმოებებს უკრაინულ მკითხველთა შორის. ჩვენ, უკრაინის საბჭოთა ლიტერატორები, ამბობს მ. ბაჰანი, პავლო გრაბოვსკის სახსრებით დამსახურებულად ვთვლით უკრაინისა და საქართველოს ლიტერატურული კავშირისა და ურთიერთ თარგმანათა ერთ ფუძემდებლად“.

მიხაილო კოციუბინსკიმ, რომელიც ჩერნიგოვში სათავეში უდგა უკრაინული პროგრესული ლიტერატორებისა და საზოგადო მოღვაწეების გავლენიან ჯგუფს, როცა გაიკო, რომ 1898 წელს საქართველოში მიმდინარეობს მზადება ილია ჭავჭავაძის იუბილეს მოსაწყობად, თავის ამხანაგებთან ერთად დაწერა ვრცელი მისასალმებელი წერილი დიდი ქართველი პოეტის სახელზე და საქართველოში გადმოგზავნა.

და თუმცა ილია ჭავჭავაძის იუბილე აკრძალული იქნა, ამ წერილმა მაინც მიიღო იუბილარამდე. ეს წერილი ღირსშესანიშნავი და პირობამული დოკუმენტია იმისა, თუ როგორ ხელიხელჩაკიდებული უნდა ებრძოლათ უკრაინისა და საქართველოს მოწინავე შვილებს მეფის თვითმპყრობლობის ბურჟუაზიულ-მემამულური რეჟიმის წინააღმდეგ.



ამავე წერილში კოციუბინსკის მოყავს ცეცხლოვანი სიტყვები შევჩვენოთ „აკაკაზიდან“:

**Боритесь — поборите!**

**...За вас сила, за вас правда**

**¡ воля святая!**

ეს შესანიშნავი დოკუმენტი ახლა დაცულია ილია ჭავჭავაძის მუზეუმის ექსპოზიციაში. ყვარულში და კოციუბინსკის მუზეუმში, ჩერნიგოვში.

უკრაინის ქალაქებში ყოველთვის ბლომად სწავლობდა ქართველი ახალგაზრდობა. ქართველი სტუდენტები, მთელ რუსეთში მაშინ არსებული ჩვეულების მიხედვით, ერთიანდებოდნენ „ზემოლიაჩესტვოში“. ორგანიზაციის ასეთი ფორმა საშუალებას იძლეოდა მატერიალური დახმარება გაეწოდა ხელმოკლე სტუდენტებს, და, რაც მთავარია, შესაძლებელი ხდებოდა ორგანიზებული საზოგადოებრივი გამოსვლების მოწყობა. კიევის ქართველ სტუდენტთა „ზემოლიაჩესტვოში“, თავისი იქ სწავლის წლებში აქტიურ რევოლუციურ-პროპაგანდისტულ მოღვაწეობას ეწეოდა ლადო კეცხოველი. მისი სახელი შესულია კიევის მშრომელთა რევოლუციური ბრძოლის ისტორიაში. კიევის მშრომელთა საბარადოსო და იცვეს და უკვდავყვეს ლადო კეცხოველის ხსოვნა უკრაინის დედაქალაქში. 1901 წელს კიევის უნივერსიტეტის სტუდენტთა გაფიცვაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს ქართველმა სტუდენტებმა. როგორც ცნობილია, მეფის მთავრობა სასტიკად გაუსწორდა კიევის სტუდენტებს. ამის შესახებ ვ. ი. ლენინი წერდა გაზეთ „ისკრის“ ფურცლებზე, სტუდენტების დასჯის წინააღმდეგ გაილაშქრა მაქსიმ გორკიმ.

ვოლინის გუბერნიის ქაობიან მიდამოებში დაბანაკებულ 43-ე ოსოტის ქვეითა პოლკის ჯარისკაცად გამწესებულ სტუდენტთა შორის ქართველი სტუდენტებიც იყვნენ. უკრაინელმა და რუსმა სტუდენტებმა კოლექტიურად აღიმაინათა შორის ქართველ ჯარისკაცთა ჯანმრთელობის დასაცავად, რადგან ქართველები აქ ჭლექით დასწეულდნენ. ქართველების დასაცავად ამხედრებული უკრაინელები და რუსები სასტიკად დასაჯა მეფის მთავრობამ, როგორც ამას ამ ამბების მონაწილე პროფესორი ს. ი. მასლოვი ადასტურებს.

კიევის ქართველ სტუდენტთა „ზემოლიაჩესტვოში“ განსაკუთრებული აქტიურობა გამოიჩინა 1914 წლის 25-26 თებერვალს. მეფის მთავრობამ ამ დღეებში აკრძალა ტარას შევჩენკოს დაბადებიდან ასი წლისთავის იუბილეს ჩატარება. ამ აკრძალვამ, როგორც ვ. ი. ლენინი ამბობს, ყოველგვარ პროპაგანდაზე უკეთ აღძრა ადამიანთა მილიონები მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საბრძოლველად. კიევის მშრომელები პროტესტის დემონსტრაციით გაემართნენ ვლადიმირის ქუჩით და ახლომახლო მდებარე ქუჩებით. ამ დემონსტრაციაში მონაწილეობდნენ ქართველი სტუდენტებიც. ცხენოსანი ჯანდარმები ხმლებით დაერივნენ დემონსტრანტებს, ბევრი სისხლი დაიღვრა, ბევრი დემონსტრანტი დააპატიმრეს. დაპატიმრებულ ქართველებს ჯანდარმები ეკითხებოდნენ:

— უკრაინელების მონაწილეობა დემონსტრაციაში, კიდევ პო, გასაგებია, მაგრამ თქვენ რაღა გესაქმებათ აქ, თქვენ რა ეროვნების ხართ?

— გუბნებით, უკრაინელები ვართ, მაშასადამე, ასედაც ჩასწერეთ უკრაინელები-თქო.

ქართველ სტუდენტთა ეს მშური სოლიდარობა მადლობის გრძნობით აღწერილი აქვს პროზაიკოს სტეპან ვასილჩენკოს. ამ დემონსტრაციის მონაწილენი კიდევ არიან ცოცხლები, ცხოვრობენ და მუშაობენ ოდესაში, ქუთაისში, აღმოსავლეთ საქართველოში.

მაგრამ უკრაინელთა და ქართველთა მშური კავშირი კიდევ უფრო მკაფიოდ გამოვლინდა ლესია უკრაინკას საზოგადოებრივ და პირად ცხოვრებაში და მის ლიტერატურულ შემოქმედებაში.

ლესია უკრაინკას ბიოგრაფიული და შემოქმედებითი კავშირი საქართველოსთან ჩვენი მეგობრობის საერთო ისტორიის ყველაზე ნათელ ფურცლებს წარმოადგენს. მთელი ათი წლის მანძილზე ლესია უკრაინკის ცხოვრება საქართველოში თითქოს ავსებს და კიდევ უფრო აღრმავეს გურამიშვილის მეგობრობას უკრაინელ ხალხთან.

### ლესია უკრაინკა

#### უიქრებოთ ისევ შენ დაგზიანება

დღიწივით ისევ შენ დაგზიანებ, ჩემო ბებრავასო სამშობლო მსარეჟ! შენის სსენივით თუ ვისუღდგმუღუმ მე ჭიბთა-მთმენი და გულმწესარე.

ვნასე დედასტა და ძალადმია, შენი სეღრბი ვი რუტბა წმილია; ბალას ვიშვალის ცრემლით დასლდმია,— უღონდმია და სიტცესვილია.

თვით ჩემი მიწა იმდენ ცრემლს ღვრიდა, ბრბ მთულ დეყანას თითქმის—წარღვნიდა; შეჩრდეს ასლა! ცრემლი ვი ატა, სამშობლოთა სსენისთვის სისსლიც ატ ვბატა!

#### ყვეღან სკამეღი, ყვეღან კხენსა

ყვალგან ცრემლემი, ყვალგან ვვნესა, გაუშოდავი ამდმასლი; ვყვდრით და ვყვდრით ურუღმბათ სეღრბას ნაღვლიან სსებით და თავდესბილი.

ჩვენ უკრაინის ძვალ მწრესატრმას ყვალუთავის ვგლთვდით აქმითი-აქმად; ვგლდრით და ვრცდით გამდესატრმას, რვმ შევავსსნას სუნდემი თავად.

ამით ჩვენ წყალუღუმ ვრ დავიყრით, ცვაივალს ვი ვგმაცვმს ცრემლემის ფრდევვას. ცრემლემი სუნდემს აქნავვას, აყუჩავმს, მავტამ ის მინდ ვრ ატ იმსსვრვას...

სჯთმს მივაცვთვთ ვს ძველი გმში, ჩავვტას ვრ მთსბთმს ცრემლემი ცსლთ; ჭყმბბათიც სადმეს შევრდეთ გმწმით და მთავბთვთ ნათული დღენი.

თარგმანი  
**ბაბილინა ხოსიტაშვილისა**

ლარისა პეტროვნა სხვადსხვა წლებში ცხოვრობდა თბილისში, თელავში, ქუთაისში, ხონში (ახლა წულუკიძე), თავისი ცხოვრების უკანასკნელი წლები სურამის განაპირას გაატარა ლამაზ სოფელ ზინდისში, სადაც გარდაიცვალა 1913 წლის 1 აგვისტოს.

მე წილად მხვდა შემეკრიბა მასკა დავით გურამიშვილის უკრაინაში ცხოვრებისა და მოღვაწეობის და ლესია უკრაინკის საქართველოში ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. საქართველოს ყოველ ქალაქში, სადაც ლესია უკრაინკა ცხოვრობდა, საბჭოთა საზოგადოებრიობა მსურვალედ მხმარებოდა იმ ქუჩებისა და სახლების მიგნებაში, სადაც უკრაინელი პოეტი ქალი ცხოვრობდა, მხმარებოდნენ იმ ადამიანთა მოძებნაში, რომლებსაც ურთიერთობა ჰქონდათ ლარისა პეტროვნასთან, რომლებიც მას ტანსაცმელს უკერავდნენ, სურსათ-სანოვავებს აწვდიდნენ, რომლებიც ცდილობდნენ შეემსუბუქებინათ მისთვის გამუდმებული ავადმყოფობით გატანჯული ცხოვრება. ქართველ ლიტერატორებს შორის აღმოჩნდნენ მისი მეგობრები და ამხანაგები, აღმოჩნდნენ ისეთი ადამიანები, რომლებსაც მასთან უსაუბრიათ.

საქართველოში ლესია უკრაინკა მოწმე იყო თბილისში მომხდარი რევოლუციური ამბებისა. მის თვალწინ დაიდგრა სისხლი საქართველოს დედაქალაქის ქუჩებში. ყველაფერი ეს მან აღწერა წერილებში, რომლებსაც უკრაინაში ავსავნიდა. საქართველოში მომხდარმა დემონსტრაციებმა, საქართველოს ქალაქების ქუჩებში აღმართულმა ბარიკადებმა ისე, როგორც 1905 წლის იანვრის ამბებმა პეტროვრადში, დააწერინეს ლესია უკრაინკას უკვდავი პოეტური ნაწარმოებები. პეტროვრადისა და თბილისის რევოლუციური ამბების მხატვრულად გადმოცემისას ლესია უკრაინკამ პირველმა უკრაინულ პოეზიაში უმღერა წითელ დროშას, როგორც დაღვრილი სისხლის სიმბოლო, როგორც რევოლუციისა და მშრომელთა თავისუფლების სიმბოლო.

თავისუფლმა ქართველმა ხალხმა ღირსეულად უკვდავი უკრაინელი პოეტი ქალის ხსოვნა. ქ. სურამში იმ სახლის კედელზე, სადაც გარდაიცვალა პოეტი, მიკრულია მემორიალური დაფა, ქუჩას კი მიეკუთვნა ლესია უკრაინკას სახელი. ამავე ქუჩაზე, საციალურად აგებულ ამიერის სტილის ნათელ ქვის შენობაში გასწნლია ლესია უკრაინკის ლიტერატურულ-მემორიალური მუზეუმი. მუზეუმის მდიდარი ექსპოზიცია მორთულია ქართველი მხატვრების მიერ შესრულებული ახალი ტილოებით, რომლებზეც ასახულია ლესია უკრაინკა თბილისის მთების მადლობებსა და სურამის უღელტეხილის ფერდობების ფონზე.

ამ მუზეუმის პირდაპირ, სურამის უღელტეხილის ერთ-ერთი ფერდობის მალალ ბუნებრივ შვერალზე 1952 წლის აგვისტოში ზემით გაიხსნა ლესია უკრაინკას ძეგლი, პოეტი ქალის ბრინჯაოს სახე ჩამოახეს ლენინგრადის მუშებმა ქართველი მხატვრის თამარა აბაკელიას პროექტის მიხედვით.

თამარა გრიგოლის ასული აბაკელია დაიბადა და გაიზარდა ქალაქ ხონში, სადაც მისი ბავშვობის წლებში ცხოვრობდა და წერდა თავის ცნობილ „Лісову пісню“-ს ლესია უკრაინკა.

ლესია უკრაინკას ცხოვრება საქართველოში და თამარა აბაკელიას სახე მოცემული აქვს უკრაინელ საბჭოთა პოეტს პლატონ გორონკოს თავის პოემაში „ლევენის დაბადება“.

ლესია უკრაინკის თანამედროვე, მისი ძველი ამხანაგი, უკრაინის ხალხის უდიდესი კომპოზიტორი მიკოლა ვიტალი-ძე ლისენკოც იცნობდა ქართულ კულტურას, ქართულ მუსიკას. მას შემოქმედებითი მეგობრობა აკავშირებდა ახალგაზრდა ქართველ კომპოზიტორ დოლიძესთან, რომელიც მაშინ კიევში სწავლობდა.


(დასასრული შემდეგ ნომერში)

სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულების დადება მახარამის რაიონის სოფ. შრომის ორგანიკიძის სახელობის კოლმეურნეობასა და უკრაინის სსრ ვენიჩესკის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობას შორის. ხელშეკრულებას ხელს აწერს სოფ. შრომის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. მ. ორაგველიძე.





შადრევანი  
ლუშეთის მოედანზე.



ფოტოზე: დმანისის მექანიზებული ყველ-კარაქის ქარხნის ყველის დამამზადებელი საამქროს მოწინავე მუშა მ. ემელიანოვა (მარცხნივ) ყველის დამამზადებაზე მუშაობის დროს. მ. ემელიანოვა ყოველთვიურ გეგმას 120%-ით ასრულებს.

ფოტო შ. ჩხეტიანისა

### ახალი წყალსადენი ლუშეთში

1952 წელს ლუშეთში ახალი წყალსადენის გაყვანა დაიწყო. მისი სათავე იწყება სამების მთიდან. წყალსადენის ოცკილომეტრიანი ტრასა გადის მაღალ მთებში, კლდოვან ციცაბოებსა და ღრმა ხეობებში; არღუნსა და ჯავახიანთკარს რომ გაივლის, წყალსადენი ქალაქის მახლობელ მწვერვალზე ადის, სადაც დიდი რეზერვუარია აგებული.

ძნელი იყო მთის წყაროს გამოყვანა. უგზოობისა და ტრასის თავისებურების გამო, რაიმე მექანიზაციის გამოყენებაზე ფიქრიც კი არ შეიძლებოდა, ამიტომ ადამიანებს ცხენით, ხარ-კამეჩით და ხანდახან საკუთარი ხელებითაც გადაჰქონდათ თუჯის მილები, ცემენტი და სხვა მასალები.

ლუშეთში იშვიათია ისეთი კაცი, რომელსაც საკუთარი წვლილი არ შეეტანოს ამ ზაშვილიშვილო საქმეში.

როგორც ყოველ საქმეში, აქაც გამოჩნდნენ რაციონალიზატორები, შემოქმედებითი შრომის მოწინავენი, რომლებიც სიძნელეთა მიუხედავად დაკისრებულ საქმეს წარმატებით ძლევდნენ.

გავიდა მხოლოდ ერთი წელიწადი, შემდგომლებმა უკანასკნელი მილები შეაერთეს, სამების წყაროებს გეზი უცვალეს და ზამთრის ერთ მშვენიერ დღეს ოცკილომეტრიან მიწისქვეშა მილში შეუშვეს.

უჩვეულო გზით წამოვიდა წყალი, რაკრაკით ჩამოიარა ტყეები და გორაკები, საკოლმურნეო სოფლები და ბოლოს ლუშეთში შემოვიდა, ლამაზ შადრევანად გადმოიღვარა ქალაქის მოედანზე.

ა. თომაძე

### გუჩისგული სათხილამურო ბაზა

ბაკურიანში საბაგირო გზის ქვედა სადგურის მახლობლად, კონტაგორის წრილოეთის ფერდობთან გაშლილია ნებაყოფლობითი სასპორტო საზოგადოება „მეცნიერება“-ს ტურისტული სათხილამურო ბაზა. სულ ერთი წლისაც არაა ეს ბაზა, მაგრამ უკვე ბევრი რამაა გაკეთებული იმისათვის, რომ შესაფერისად მოემსახუროს აქ მოსულ მოთხილამურებს. ორას კაცამდე იტევს მშვენივრად მოწყობილი ოთხი ლამაზი სახლი. მათ აქვთ საკუთარი ელექტროსადგური. პროექტორებით გაკაშვებულ ბაზის მიდამოებში ღამის თორმეტ საათამდე არ სწყდება თხილამურებზე სრიალი. მომავალი ზამთრისათვის განზრახულია მოეწყოს ახალი 50 კილოვანი ელსადგური — ცენტრალური გათბობა, კლუბი და ახალი სასადილო, აბანო შხაპებით, წყალსადენი და საციფურო მოედანი.

ბაზას აქვს თხილამურები თავისი მოწყობილობით და სათხილამურო ფეხსაცმელები ჩამოსულთათვის. ბაზას ჰყავს ინსტრუქტორები, რომელთა დახმარებით ჩამოსული მოთხილამურები მოკლე დროში სწავლობენ თხილამურებით სიარულს, გადიან წრფენას და ეუფლებიან სამთო სათხილამურო ტექნიკას.

რ. ჩხეტიანი

### დმანისის ყველ-კარაქის ქარხანა

1953 წლის მარტში მწყობრში ჩადასაქარაქის ქარხანაში ერთ-ერთი ყველაზე უფრო მეტად სრულყოფილი, მექანიზებული დმანისის ყველ-კარაქის ქარხანა.

ქარხანა უშვებს: თუშურ, შვეიცარულ, ჰოლანდიურ და საბჭოთა ასორტიმენტის მრავალნაირ ყველს, კარაქს, საქმელი შრატის ცილას და რძის შაქარს — ქიმიური და სამედიცინო მრეწველობისათვის.

გასულ წელს დმანისის ყველ-კარაქის ქარხნის კოლექტივმა ქვეყანას მისცა: — 50 ტონა ყველი, 20 ტონა კარაქი, 7,2 ტონა რძის შაქარი და 4 ტონა საქმელი შრატის ცილა.

გამომშენებელი პროდუქცია უმაღლესი ხარისხისაა.

მიმდინარე წლის იანვარსა და თებერვალში ქარხანამ ძირითადად თუშური ყველი გამოუშვა. ზამთრის სეზონში მხოლოდ ამ ასორტიმენტის ყველის დამამზადება სწარმოებს.

წარმოების ახალგაზრდა კადრები დღითი დღე სულ უფრო და უფრო ზედმიწევნით ეუფლებიან პროდუქციის გამოშვების ტექნოლოგიურ პროცესებს.

მათ მიერ გამოშვებულმა პროდუქციამ მაღალი შეფასება დაიმსახურა.

კიევიდან მაღლობის წერილი მიიღო ამ ქარხნის დირექტორმა შიო სხირტლაძემ. კიევის ქიმიური ქარხნის კოლექტივი დმანისელ სპეციალისტებს სწერს 1954 წელში გაუგზავნონ ორჯერ მეტი რძის შაქარი.

ამჟამად დამთავრების პროცესშია დიდი საცხოვრებელი სახლი, რომელიც განკუთვნილია ქარხნის მუშებისა და მოსამსახურეებისათვის.

დმანისის ყველ-კარაქის ქარხნის კოლექტივმა ვალდებულება აიღო მიმდინარე წელსაც წარმატებით, გადარბებით შეასრულოს პროდუქციის გამოშვების დავალება.

შ. გოგოლაური

ფოტოზე: ტურისტული სათხილამურო ბაზის ხედი.



საქართველოს  
საბჭოთა კავშირის  
1953

F1494



# მსირა შენიშვნები ღიღი საკითხის გამო

კონსტანტინე გამსახურია

მსოფლიოს მოწინავე ერებს დიდი ხანია, რაც შემოღებული აქვთ სტამბურ-ბეჭდვურ პროდუქციაში ასომთავრულის ხმარება როგორც საკუთარი, არსებითი და გეოგრაფიული სახელების დაწერისას, ისე სათაურებისა და წინადადების დაწყებისას. რამდენადაც ევროპის დასავლეთისა და აღმოსავლეთის ენების ალფაბეტებს საფუძვლად დაედო ძველბერძნული ანბანი, ეს ტრადიცია დროზე შეითვისეს როგორც სლავურ, ისე რომანულ და გერმანულ ენათა ოჯახებმა, ამავე ენებმა ოდნავ განსხვავებული დაწერილობაც მოუპოვეს ასომთავრულს. ეს ტრადიცია თავის დროზე აითვისეს ჩვენმა თანამოქმედ სომხებმაც.

ასომთავრულის შემოღების საქმეობა რუსეთსა და დასავლეთში წარმოშვა სტამბური ბეჭდვის კულტურამ, რამდენადაც სტამბური სტილიტიპები გაცილებით უფრო მომლოდინო ანონიზებს გულისხმობენ, ვიდრე ხელთნაწერი, ან კალიგრაფიული და დანაწერი. საერთოდ ასეთი საქმეობა აქტუალურად მხოლოდ მაშინ წარმომადგარა ენის წინაშე, როცა მისი სტამბურ-ბეჭდვური პროდუქცია დიდ მასშტაბებს აღწევდა.

ასომთავრულის შემოღების პრობლემა უპირატესად წარმოშვეს რომანისტიკამ, პუბლიცისტიკამ და მეცნიერულმა პროზამ, რადგან ლექსური პროდუქციის მოკლე სტრიქონები და გვერდებზე დატოვებული ფართო არეები არც კი საქმეობებს ასომთავრულს.

ამ ორივე ათეული წლის წინათ ზოგიერთი პოეტი შეეცადა კიდევაც დასავლეთის ლიტერატურულ პრაქტიკიდან გაეციებინა როგორც ასომთავრულის, ისე სახვეწი ნიშნების ხმარება.

ქართულ სტამბურ ტექნიკას საფუძველი ჩაუყარა ვახტანგ VI ისეთ პერიოდში, როცა ქართული სახელმწიფო აგონიას განიცდიდა. რაც გასულ საუკუნეში ამ მიმართულებით გაკეთდა, ეს ყოველივე, ყოველგვარ სახელმწიფო ღონისძიებათა გარეშე მოახერხეს ქართული მწერლობის მოამბეებმა.

დღეს ჩვენი ლიტერატურის გაზრდილი მოთხოვნილების თვალსაზრისით ბევრი რამ სერიოზულ რევიზიას და პოლიგრაფიული ტექნიკის უკეთ მოგვარებას, ასონიშნების ხელახლა ჩამოსხმას მოითხოვს.

ასომთავრულის გამოყენება მე-19 საუკუნის ქართულ მწერლობას მაინც და მაინც არ უგრძნია, რადგან ამ საუკუნეში შედარებით მცირე პროდუქციას იძლეოდა როგორც ქართული რომანისტიკა, ისე პოლიტიკური პუბლიცისტიკა და მეცნიერული პროზა. ქართული ლიტერატურის საბჭოურ პერიოდში დიდად გაიზარდა ქართული რომანისტიკა, მხატვრული პროზა, ამ ხნის მანძილზე იბეჭდებოდა ათეული ტომები პოლიტიკური და თარგმნილი ლიტერატურისა, ასეულ ტომებს სცემდნენ და სცემენ ჩვენი აკადემია, უნივერსიტეტი და აუროცხელი ინსტიტუტები. არ დაგვავიწყდეს ჩვენი დიდი ტრიაფიანი პოლიტიკური გაზეთები, რაიონული ცენტრების პრესა, სამეცნიერო და საუწყებო ბიულეტენები, უწყებები, სხვანი და სხვანი.

დღეს ქართულად იბეჭდება მრავალზე მეტნიერული შრომა, გამოკვლევა და მონოგრაფია ისტორიისა და გეოგრაფიის, გეოლოგიისა და გეოდეზიის, ასტრონომიისა და მათემატიკის, ფიზიოლოგიისა და ბიოლოგიის, აგრონომიისა და აგროტექნიკის, ზოტანიკისა და ზოოლოგიის, ქიმიის და ფიზიკის ათავსვარა საკითხის გამო.

ეს ყოველივე იძლევა ყოველწლიურად არა ერთ მილიონ ანბანულ ფურცელს. ასომთავრულის შემოღება საქმეობა არა მარტო ესთეტიკური, მწიანიზების თვალსაზრისით, თვალთა ჰიგიენას იძლევა ამ შემთხვევაში, დიდი მნიშვნელობა.

როცა ყოველი ახალი წინადადება ასომთავრულით იწყება, მკითხველი თვალს ახვეწებს. გაძლიერებული მასშტაბით ხდება იგივე, როცა საკუთარი არსებითი და გეოგრაფიული სახელები ასომთავრულით გამოიყოფა მთლიანი ტექსტის მანძილზე.

ქართული მხატვრული ასოების იდეალურად ლამაზ კონფიგურაციას ახასიათებს ხაზგასმული ჰომოლოგიურობა, ამის გამო მთავრულის მოუხმარებლად დაბეჭდილი ტექსტი დიდ მანძილზე ძლიერ ღლის მხედველობას.

ამ შემთხვევაში ერთი დიდად სიძვენელოვანი მომენტიც საგულისხმოა. თანამედროვე კულტურულმა ენებმა საქმეობა სცნეს შემოკლებათა შემოღება. ესე იგი სიტყვათა პირველი ასოებით მთელი ცნების პირობითად გადმოცემა, რაც პოლიტიკურ პრესაში და მხატვრულ ან მეცნიერულ პროზაში აუცილებელ საქმეობას შეადგენს.

ჩვენ წარამარა გვიხდება ასეთი შემოკლების დაწერა: ს ს რ კ (საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი), ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ს ს რ (საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა), ს. კ. კ. კ. ც. კ. (საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი), მ ტ ს (მანქანატრაქტორების სადგური), ზ ა ჰ ე ს ი, ხ რ ა მ ჰ ე ს ი და სხვა მისთანანი. თუ ეს შემოკლებანი ასომთავრულის გამოყენებით გვხვდება მთლიან ტექსტში, თვით ნაკლებად განათლებული მკითხველის ყურადღება გამახვილდება, როცა მთავრულ ასოებს წააწყდება.

ეკონომიკური მომენტიც ფრიად საგულისხმოა ამ შემთხვევაში. ყოველი განვითარებული ენა გამუდმებულად ისწრაფვის მაქსიმუმ ეკონომიისაკენ; ცხადია, ჩვენ აქ არ გულისხმობთ ყბადაღებულ „ამერიკანისმ“, ან „დეპეშურ სტილს“.

არა მარტო ზედმეტი ფრაზა, ზედმეტი სიტყვა, თვით ზედმეტი ასოც ფუჭად ბეჭდავთ საკითხის დაყენების წესით (რედ.)

აკარგინებს დროს როგორც ავტორს, ისე მკითხველსაც. მრავალი წლის მანძილზე, მრავალმილიონი ფურცლისგან შემდგარ ანბანულ ტექსტს თუ ვაჭულისხმებთ, ეს ზედმეტი სიტყვები მრავალი მილიონი მანეთის ზარალს აყენებენ სახელმწიფოს.

უეჭველად დათვურ სამსახურს უწევენ ქართულ ენას ის უკუშვრია ქირისუფალნი, რომელთაც სერბოზულად სჯერათ თითქოს ჩვენს ენის ხელოვნური განკერძოება და გამოთიშვა მოწინავე ენების მიერ აღებული საერთო კურსიდან რითიმე ხელს უწყობდეს ქართული ენის პროგრესს.

ისინი ამაოდ ცდილობენ ნაძალადევად შექმნილი ექვივალენტები გამოუმეზონ ინტერნაციონალურად ქცეულ სიტყვებსა და ცნებებს. ტელეფონის ნაცვლად ხმარობენ „ელსმენს“, ბინოკლის მაგივრად „კოგორიტს“, ვაგონის ნაცვლად „რონოდას“, ტროტუარს „ფილანქანს“ არჩევენ, პორტს — „ბოლას“, ცირკულს „ფარგალს“, რელსის მაგივრად „რონებს“ — და ა. შ.

აგრე მოაზროვნე პირებს უთუოდ ესამუშებათ ამ უპრეტენზიო შენიშვნებში წარმოდგენილი წინადადებაც. კულტურული ერებისა და ენების ისტორიას თვალს თუ გადავავლებთ, უთუოდ დავრწმუნდებით, რომ მოწინავე ენების ფორმირება და წინსვლა სწარმოებდა ხსენებულ ენათა ურთიერთის მიმართ წაბაძვითა და ერთი მეორეზე ნაყოფიერი ზეგავლენის მოხდენის მეშვეობით. რაც ამ უცილო კანონის გარეშე რჩებოდა, ის სოფლურობის და პროვინციალიზმის ატმოსფეროში ამომზერალოდა უთუოდ.

ყოველ ენაში ასე უმუშავიათ ამა თუ იმ ენის დიდოსტატებს, მათ საკუთარი ენის მეურნეობაში გადაუტანიათ ყოველივე მიღწევანი ამა თუ იმ დაწინაურებული ენისა.

\* \* \*

სტამბური ბეჭდვის შემოღებამდის ქართული დამწერლობის ძეგლებში იგრძნობა ტენდენცია ასომთავრულის შემოღებისა. საქართველოს მუზეუმში ინახება მსოფლიო მასშტაბით უნიკალური ძეგლი X საუკუნისა. მიქელ მოდრეკილის „იადგარი“, უბრწყინვალესი ნიმუში ხელწერისა, მაღალი ოსტატობით შესრულებული. პერგამენტზე შესრულებული ტექსტის არეებში დაყოფილია აბზაცების გამოთვლილი მთავრულები, ხოლო ტექსტის შიგნით სათაურები სინგულრითა და მრგვლოვანი ასოებითაა საგანგებოდ დამშვენებული. როცა ამ ძეგლის და მრავალი სხვა ძველი ქართულ ხელნაწერის შესრულების ტექნიკას დაუკვირდება ადამიანი, უთუოდ დარწმუნდება, რომ ჩვენი ბეჭდვური ასონიშნების დღევანდელი მდგომარეობა, ამ ასოების კონფიგურაცია, როგორც პრაქტიკული და ესთეტიკური, ისე თვალთა ჰიგიენის მოთხოვნილებიდან განხილული ყოველივე კრიტიკის გარეშე უნდა ვივალისხმოთ.

ის ცალკეული ცდები, რომელნიც ოქტომბრის დიდი რევოლუციის წინაპერიოდში უწარმოებია ზოგიერთ „ნოვატორს“ ქართული ბეჭდვური ასონიშნების გაუარესებისაკენა მიმართული. სამკბილოვან „ლ-ს“, ორი კბილი მოაცილეს, დონს ცალი კბილი, ბოლოს „დ“, „ლ“ და „ლ“ ისე დაამსგავსეს ერთმანეთს, რომ ეს ყოველივე მკითხველის თვალის ზედმეტ დაძაბულობას მოითხოვს, ამ სამი ასოს ურთიერთისაგან გარჩევისას. ორკბილიან „რ“-ს ცალი კბილი მოაცილეს და იგი მიამსგავსეს „ჩ-ს“. დაამახინჯეს ლამაზი ასოები „ჯ“, „ო“ და სხვ.

ქართული ალფაბეტი ორი ათასი წლის ღვაწლითა და შრომით მოუხვეჭია ქართველ ხალხს და არავის ნება არა აქვს თავნებური ცდები აწარმოოს ამ მიმართულებით.

ამჟამად თბილისში მუშაობს რესპუბლიკური შრიფტის კომიტეტი და ჩვენ იმედი გვაქვს ჩვენს შიგრი ადრულ საკითხს სერიოზულად ასწონ-დასწონის ეს კომიტეტი.



ჩვენი ბავშვები არა მარტო წიგნებით იცნობენ მსცოვან მწერალ ქალს ნინო ნაკაშიძეს. „დეიდა ნინო“ ხშირად ხვდება დედაქალაქის პიონერებსა და მოსწავლეებს და ესაუბრება მათ ახალ წიგნებზე, უამბობს საინტერესო მოგონებებს წარსულიდან.

ფოტოზე: ნინო ნაკაშიძე ბავშვებთან.  
ფოტო ოთ. თურქიასი



ამ თხუთმეტი წლის წინათ, საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმისთვის შემთხვევით შევიძინეთ საბუთები, რომლებშიც აღმოჩნდა ერთი ქართული წერილი „ბაღდადის ხელმწიფისა“ დედისადმი მიწერილი.

მაშინ ჩვენთვის სრულიად უცნობი იყო ის ფაქტი, რომ ქართველი მამულეები განაგებდნენ ერაყს თითქმის მთელი საუკუნის მანძილზე, მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან XIX საუკუნის ოცდაათიან წლებამდე, რომ ქართველ მამულეებს ჰყოლიათ ქართველი მმართველები და სარდლები. არც ის ვიცოდით, რომ, თურმე, ჯერ კიდევ მეთვრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში ქ. ბაღდადში, ანუ ძველ ბაბილონში ჰქონიათ ქართული სკოლა ორასი ქართველი ბავშვისთვის, რომ ბაღდადის მმართველების ქართული გვარდია, რომელიც მრისხანე ძალას წარმოადგენდა, ყოველწლივ ივსებოდა საქართველოდან ახალი კონტინგენტით, მოტაცებული ყრმებითა და ჭაბუკებით. ერაყელი ისტორიკოსი თალიბი, რომელიც წარმოშობით ქართველი ყოფილა, გადმოგვცემს, რომ ქართველ მამულეკთა მბრძანებლობის ბოლო პერიოდში ქართველ მამულეკთა რიცხვი 1800 კაცს უდრიდა.

ამ საკითხის შესახებ, გ. ბეი-მამიკონიანმა, საქ. მეცნიერებათა აკადემიის თანამშრომელმა, გადმოგვცა წერილი „ქართველ მამულეკთა ბატონობა ერაყში, მე-18 და მე-19-ე საუკუნეებში“.

მამიკონიანის აზრით, ერაყელი მამულეები, განსაკუთრებით, აღმოსავლეთ საქართველოს მოვლენა იყო, ხოლო ეგვიპტის მამულეების ქართული განტოტება, — განსაკუთრებით, დასავლეთ-საქართველოში. ერაყელი ქართველი მამულეკობა იყო მოვლენა რომელიც ახლო აღმოსავლეთის ისტორიის ფარგლებს არ სცილდებოდა, ხოლო ეგვიპტური მამულეკობა იყო დიდი და თავისებური მოვლენა მსოფლიო ისტორიისა. მათი როლი იყო ერთი გადამწყვეტი ისტორიულ ძალთაგანი გვიანდელ საუკუნეობრიობისა. ასე, 1250 წელს, მამულეკთა გააფთრებული იერიშის წყალობით, ეგვიპტის სულთანს დაწებდა მთელი თავისი არმიით მეშვიდე ჯვაროსნული ომის შთამოგონებელი და ბელადი ლუი IX. იმავე ხანებში იგივე ეგვიპტე და მთელი მაჰმადიანური სამყარო, სასიკვდილოდ დამარცხებული მონგოლთა ურდოების მიერ, გადაარჩინა თავისი დაუდგრომელი ვაჟკაცობითა და შემართებით მეგრულ-აზხაზ-ჩერქეზთა მკლავმა და საზოგადო დაუდო მონგოლთა ექსპანსიას მაჰმადიანური ქვეყნების მხარეში.

გარდა იმისა, რომ გარეშე მტერს დიდძალი ქართველობა მიჰყავდა ტყვედ,\* თვით ქართველი თავად-აზნაურობის ნაწილი დიდის ენერგიით აწარმოებდა ტყვეებით ვაჭრობას, რაც ფეოდალური წყობილების ეკონომიური კრიზისით იყო გამოწვეული. ცოცხალი ადამიანის სავაჭრო სავანდ, ექსპორტად გადაქცევა ჩვეულებრივი ამბავი იყო. ქართული სამართლით, ყმისა — ყველაფერი ბატონის იყო, გარდა სულისა. დღარობეული მეზატონიეებიც უხვად სარგებლობდნენ განუსაზღვრელი უფლებებით. ყმით ვაჭრობამ, განსაკუთრებით მე-17-18 საუკუნეებში ეპიდემიური ხასიათი მიიღო. ყმა სავაჭრო ვაჭრობის ობიექტად იქცა. ყმას ჰყიდდა დიდებული, თავადი, აზნაური, ეპისკოპოსი, ვაჭარი და მდიდარი გლეხიც, სხვადასხვა მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. „საქონლად და სასარგებლოდ“, სასმელ-საჭმელში გასაცვლელად, ცხენზე, ხმალზე, ხიზილალაზე, სკლატზე, ტანისამოსზე ან კომფორტის სხვა საგნებზე. ცნობილია, რომ მე-17-18 საუკუნეებში, შავი ზღვის სანაპიროების მფლობელთა — დადიანის და გურიელის შემოსავალს უმთავრესად ტყვეებით ვაჭრობა წარმოადგენდა. თეიმურაზ I-ის სიტყვით, მარტო დადიანი წლიურად ჰყიდდა 10-12.000 ყმაწვილს. ევროპელ მოგზაურთა უფრო ობიექტური ცნობების მიხედვით, მარტო სამეგრელოდან 1640 წ. ბოლოს წლიურად გაჰყავდათ 2.000 ტყვე, ხოლო, საერთოდ, საქართველოდან, შავი ზღვის გზით, 4 ათასი კაცი.

საყურადღებოა, რომ ქართული სამართალიც არავითარ წინააღმდეგობას არ უწევდა ახალწარმოშობილ კომერციას. იგი მხოლოდ არაქრისტიანებს უშლიდა ვაჭრობას, ისევე, როგორც ეკლესია, „წყევლისა“ და „შეჩვენების“ წიგნებით. ამით გათამამებული ქართველი მეზატონეები, ლეკთა და თურქ მტაცებელთა მეოხებით, სტამბოლის, ეგვიპტის და ალჟირის ბაზრებში ქართველი ტყვეებით ვაჭრობას შესამჩნევად მასშტაბით აწარმოებდნენ. ცნობილი

ფაქტია, რომ აღმოსავლეთის ბაზრებზე ქართველი ყმა უფრო ძვირად იყიდებოდა. მე-19 საუკ. მეორე ათეულში, კონსტანტინეპოლში მყოფი ქართველი მოგზაური გიორგი ავალიშვილიც შენიშნავს, რომ ხშირად სხვა ეროვნებათა ტყვეებსაც ამ მიზნით ქართველების სახელით ჰყიდებდნენ: „უმეტესნი ნაწილნი ისყიდებან კონსტანტინეპოლს სახელთა ქვეშე ქართველისა, მიუხედავად მისა, ვითარმედ არიან იგინი ნათესაობით სრულიად სხვა, რომელთათვისაც, მიმღებლობენ გამსყიდველნი მათნი მრავლით უმეტესსა ფასსა, ვიდრე ვითარსაცა მიიღებენ ყე იგინი, ოდესცა გამოაცხადებდნენ სწორედ საღიბობასა მათსა“-ო (წ. კ. № 450).

აი რას იწერება სტამბოლიდან ტყვედ მყოფი პატრიარქი დომენტი: „ერთი ყმაწვილთაგანი აქ, კონსტანტინეპოლში გამოსყიდულ იქნა... და ჩემთან მოყვანილი მოსამსახურედ... იგი მუხრანელი ზონიასვილია. დღე და ღამე სტირის და ვერ ივიწყებს სამშობლოსგან მოშორებას. ვერაფერი ანუგეშებს. მისი მწარე სიცოცხლე სამშობლოს განშორებით უმეტესად ამძაფრებს ჩემს სულიერ წყლულებს. სხვა 49 ყმაწვილი სტამბოლის ბაზარზე გაისყიდნენ და ტყვეებად იქმნენ წაყვანილი ეგვიპტის და ალჟირს“.

„ლეკთა გაალაგეს საქართველო“, — სწორად ერეკლე II ეკატერინე მეორეს. ჯერ კიდევ 1716 წელს, სულხან-საბა ორბელიანმა ნახა ქართველი ტყვეები ლოკარნოში, მესინაში, კუნძულ მალტაზე. 1823 წელს, ქართველი მოგზაური გიორგი ავალიშვილი შეხვდა გაყიდულ ქართველებს ანატოლიაში, ეგვიპტეში, პალესტინაში, ხოლო მე-18 საუკ. ერთს ჩვენამდე მოღწეულ წერილში, რომელიც დაწერილია ქ. მოსულში, ვინმე ქართველი ჩივის, რომ მან სტამბოლში იპოვა გაყიდული თავისი დედა, ძმას მიაგნო ქ. დიარბექირში, ხოლო დების საქებრად მიემართება ბაღდადში:

„ზიდა ჩემი ბადა, აქეთ დიარბექირს მოსული იყო და შვილის საძებნელათ და ვერ ეპოვნა. ახლა მეც ბერის ვეძებ, მაგრამ ვერა ენახე. კიდევაც თვალი მიჭირამს. თუ ვნახე, ჩემთან მოვიყვან. ღვით ახლა თუ დედაჩემის ამბავს იკითხავთ, შევიტყე, რომა სტამბოლს, უსკუდარს წაუყვანიათ — სერჯ-ალასი, მუსტაფა-ალას ეძახიან, იმასთან წაყვანათ და ჯერ სწორე ამბავი ვერ შევიტყე. ახლა ჩემი ძმების ამბავს იკითხავთ, იმათიც ვერა გავიგერა. ახლა ჩემი ხანუშის ამბავს იკითხავთ ღვითათ — დიარბექირს, ერთს ფრანგსა ჰყვანდა და დავიხსენი. მე ისევ ბაღდადს ვახლავარ“. (ც. არქივის სიგ. ფონდი, სიგელების წიგნი № 24, 101).

ზოგჯერ ტყვედ წაყვანილები ჰკუის გამჭირახობით, ინიციატივითა და ფიზიკური ძალის წყალობით დიდ სახელმწიფო პოსტებს აღწევდნენ. 1740-იან წლებში, სამგორის მინდვრიდან ლეკების მიერ მოტაცებულ იქნა პატარა მწყემსი მარტყოფელი შინჯიკაშვილი, რომელიც თნის ფარას აძოვებდა. შემდეგში იგი შეიქნა ეგვიპტის დიდი სახელმწიფო მოღვაწე, იბრეიმბევის სახელით. მან დაიბარა თავის ძმა ზასილა შინჯიკაშვილი, სიძე გოგია ბერუაშვილი და უკან დიდი საჩუქრებით გამოისტუმრა.

ასეთივე ბედისა გამოდგა ტფილისელი მანველაშვილი ანუ ბოჩოლაშვილი გიორგის შვილი დიმიტრი, ლეკთაგან მოტაცებული და რამდენჯერმე გაყიდული, რომელიც შემდეგში „ბაღდადის ხელმწიფე“ ანუ მმართველი შეიქნა.

### მნობები დაუდ-ფაშის შესახებ

„ბაღდადის ხელმწიფე“ — დაუდ-ფაშა იგივე დიმიტრი ბოჩოლაშვილი ანუ მანველაშვილი დაბადებულია ტფილისში, დაახლოებით 1767 წელს.

ყრმა დიმიტრი ლეკებს მოუტაცნიათ და 1780 წელს, როცა დიმიტრი 12-13 წლისა იყო, ტყვეთმოვაჭრებს ბაღდადში ჩაუყვანიათ. ბაღდადის ბაზარზე დიმიტრი რამდენჯერმე იქნა გაყიდული. იგი ძალით გაუმამადიანებიათ, და ბოლოს სულეიმან დიდს, ბაღდადის ფაშას, ტომით ქართველს, უყიდა. მკვირცხლსა და ნიჭიერ ბავშვს, თავისი გონებრივი ნიჭით, განსაკუთრებით ლიტერატურის სიყვარულის წყალობით, მალე დაუმსახურებია ფაშის ნდობა. იგი მალე გამხდარა ფაშის განსაკუთრებული ნდობით ალჟურვილ მდივნად და მწერლად. ამ დროისთვის დაუდს მშვენივრად სცოდნია არაბულ-ირანულ-თურქული ენები. შემდეგ დაუდი ხდება სულეიმან დიდის მოლარედ და ბეჭდისმცველად და ცოლად ირთავს თვით ბაღდადის მმართველის სულეიმანის ქალიშვილს.

1815 წელს, დაუდი ხდება ბაღდადის ახალი მმართველის,

\* ტყვედ წაყვანილი ქართველების ერთ-ერთ ახალშენად უნდა ჩაითვალოს დიდი დაბა ხივში, რომელიც ატარებს „გურჯი“-ს სახელს. იგი ქართველების დაარსებული ყოფილა. (იხ. Энциклопедический лексикон, 1838 წ. გვ. 264).









ეროვნული  
ბიბლიოთეკა



ნახშირის კომბინატის „დონბასის“ კონსტრუქტორები — სტალინური პრემიის ლაურეატები ა. დ. სუკაჩი და ვ. ნ. ხორინი შახტის კომბაინის მოქმედ მოდელთან.

ფოტო ნ. კოვლოვსკისა





165/202 .

საქართველო  
ბიზნისი



თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის გადამღები რ. მჩითავიშვილი ამოწმებს მზა პროდუქციას

ფეოადი ფოტო მ. ზარბაზნიანი